# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 30 აპრილი 2003 №76 (1847) | ფასი 50 თეთრი




## გამოიღეთ, რუსებო, კარიდან ბურთი!

დღევანდელი თამაში არ არის მხოლოდ ფეხბურთი, რადგანაც სანამ რუსული ჩექმა კავკასიის აქეთა მხარეს ჯეგავს, რაგინდარა ქართულ-რუსული დაპირისპირება ომია.

დღეს ომია.

ამიტომ ნურავის გაუკვირდება:

როცა რუსთა მეკარე კარიდან ბურთს გამოიღებს, ქართველებს თვალებზე სიამაყის ცრემლი მოადგებათ.

ომი ჯერ არ დასრულებულა.

გამოიღეთ, რუსებო...

კარიდან ბურთი!!!



ვალერი გაზაევი

## რუსული ფეხბურთის კოლოსი და ოსი ხორვატის წინააღმდეგ

იხილეთ მეორე, მესამე, მეოთხე გვერდები



ვიაჩესლავ კოლოსკოვი

რუსეთი



ბაჩო კორძახიას ფოტო

# ვალერი გაზაევი საქართველოს იცნობს, შუშაკს არა

**საქართველოს ნაკრების** დღევანდელი მეტოქე, რუსეთის ნაკრები თბილისს გუშინ საღამოს, შვიდი საათისთვის ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა. ვერ ვიტყვით, რომ სტუმართა დელეგაცია მრავალრიცხოვანი და ისეთი ჭრელი იყო, როგორიც ოქტომბერში სტუმრობისას. გუნდს დაახლოებით 15-20 ოფიციალური პირი და 50-მდე ჟურნალისტი ჩამოჰყვა. უმეტესობა სასტუმრო „მეტეხში" დაბინავდა, ზოგიც ქალაქის სხვა სასტუმროებში. ოქტომბრისგან განსხვავებით რუსები გუშინ უფრო მოკრძალებულნი ჩანდნენ, ის ამპარტავნობა, რომელიც ყველა ქართველს აღიზიანებდა, შინ დაეტოვებინათ და შედარებით კეთილგანწყობილად გამოიყურებოდნენ. მოჩვენებითია თუ არა, მათი ასეთი ქცევა, ეგ უკვე მეორეხარისხოვანია და დიდად არც უნდა დაგვაინტერესოს.

რუსთა ნაკრები 21 ფეხბურთელით ჩამოვიდა. ვინც კი მწვრთნელმა გაზაევმა სათბილისოდ იხმო, ტრავმირებულ მეკარე ოვჩინიკოვისა და ბრგე თავდამსხმელ პოპოვის გარდა ყველა აქ არის. ნაკრებს დაუბრუნდნენ მოსკოვის „სპარტაკის" ახლახან გამოჯანმრთელებული გამთამაშებელი ტიტოვი და პორტუგალიური „პორტუს" ნახევარმცველი ალენიჩევი. დანარჩენთა უმეტესობა კი ის ფეხბურთელები არიან, ოქტომბერში რომ ითამაშეს. გუშინ რუსებს თბილისში არ უვარჯიშიათ, დილით მოსკოვის მახლობლად ჰქონდათ მოთელვა, თვითმფრინავში ჩასხდნენ და წამოვიდნენ. სტუმრებს დღეს დილით აქვთ დაგეგმილი ერთსაათიანი ვარჯიში „ლოკომოტივის" სტადიონზე.

როგორც ჩვენი რუსი კოლეგებისგან შევიტყვეთ, რუსეთის ნაკრები სავარაუდოდ ერთი ფორვარდით ითამაშებს — ეს არმიელი სემაკი იქნება, თუმც ვინაიდან ის უფრო შემტევი ნახევარმცველია, გამოდის, რომ გაზაევი ამჯერად თავის ნაცად ტაქტიკას უღალატებს და საქართველოს გამოკვეთილი თავდამსხმელის გარეშე დაუპირისპირდება. მეტოქის მეკარის ვინაობაც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ყოფილა, კარს მწვრთნელი თავის საკლუბო შეგირდ მანდრიკინს ჩააბარებს. ძირითადი შემადგენლობის სხვა ფეხბურთელებზე რუსები ვერაფერს ამბობენ, გაზაევის ხუშტურებისას რას გაიგებთო. რუსი ჟურნალისტების თქმით, ნახევარი მოსკოვი თურმე მატჩის ფრედ დასრულებას ვარაუდობს. ოფიციალური დელეგაციის რამდენიმე წევრისთვის კი დღეს ქულების გაყოფით მასპინძელიცა და სტუმარიც კმაყოფილი უნდა იყოს. სიტყვამ მოიტანა და, რუსეთის ნაკრები თბილისში უქომაგოდ ჩამოვიდა, თუმც კი თქვეს, რუსეთში საქართველოს საკონსულოსთან ქართული ვიზის მისაღებად გუშინ დიდი რიგი იყოო. თუ რუსებმა ვიზები მიიღეს, მაშინ სტუმართა ას-ორას კაციან ქომაგთა ჯგუფს ნაშუადღევს უნდა ველოდოთ.

დანარჩენზე კი, უფრო საფეხბურთო ამბებზე, რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა გუშინვე „მეტეხში" გამართულ პრესკონფერენციაზე ილაპარაკა. გაზაევმა ნავახშმევს შეგირდები მოსასვენებლად გაისტუმრა და ჟურნალისტებს შეგვხვდა.

— უპირველესად, მსურს თბილი მიღება-მასპინძლობისთვის მადლობა ვუთხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. კარგად ვიმგზავრეთ და თავს მართლაც მშვიდად, მყუდროდ ვგრძნობთ.

...საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელს არ ვიცნობ, არც რაიმე მსმენია მის სამწვრთნელო სტრატეგიასა და მეთოდებზე. თუმც თბილისის „დინამოზე" მაქვს გარკვეული წარმოდგენა და ვფიქრობ, საქართველოს ნაკრების ტაქტიკა, თამაშის მანერა უწინდელისგან დიდად განსხვავებული არ უნდა იყოს.

...ჩვენთვის მთავარია შედეგი, ყველაზე ლამაზი თამაში რუსეთისთვის სასურველი ანგარიში იქნება. თამაშსაც სწორედ ისე ავაწყობთ, გამარჯვება რომ მოგვიტანოს.

...ოვჩინიკოვი მართლაც გამოცდილი, საიმედო მეკარეა და მისი არ ყოფნით დიდი ძალა დაგვაკლდება, თუმც ეს ტრაგედია არ არის. ოვჩინიკოვს ღირსეული შემცვლელს გამოვუნახავთ.

...რუსეთის ნაკრების სტიმული, ჩვენივე სატურნირო მდგომარეობაა. ჯგუფში საკმაოდ ჩახლართული ვითარებაა, თითოეულ ქულას დიდი ფასი აქვს. აქიდან გამომდინარე კი ქართველების დასამარცხებლად უდიდესი მოტივაცია გვაქვს.

...ტიტოვი გამოჯანმრთელების შემდეგ მთლად ძველებურად არა, მაგრამ საკმაოდ კარგად ათამაშდა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფეხბურთელი გამოგვადგება და ამიტომაც გამოვიძახე. პორტუგელი ალენიჩევი კი ბოლო ხანს სტაბილურად თამაშობს კლუბის ძირითად შემადგენლობაში და ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლება. ორივეს ერთად ვათამაშებ თუ არა, ამაზე პასუხს მატჩის დაწყებისას მიიღებთ. შემადგენლობასა და ტაქტიკაზე, ახლა ნურაფერს მკითხავთ.

...საქართველოს ნაკრების ბოლო ორივე მატჩი რამდენჯერმე ვნახე. ადრეც ვამბობდი და ვიმეორებ, საშიში მეტოქე გვყავს, ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. ჩვენს წინააღმდეგ სათამაშოდ შუშაკს თითქმის იგივე ფეხბურთელები მიუწვევია, რომლებიც ირლანდიასთან და შვეიცარიასთან ჩივაძეს ჰყავდა. ყოველ შემთხვევაში, ქართული შემადგენლობის 70 პროცენტი მეცნობა.

...პირდაპირ რომ გითხრათ, არ მაინტერესებს, შუშაკი თავდასხმაში რომელ ფეხბურთელებს ათამაშებს. მხოლოდ ჩემს გუნდზე ვფიქრობ.

...სტადიონზე ხალხის ემოციაა საჭირო და უამისოდ ფეხბურთი ვერ წარმომიდგენია. კარგია, რომ უეფამ თავის გადაწყვეტილება შეცვალა და ქომაგს თამაშზე დასწრების საშუალება მისცა.

გაზაევს ახალი არაფერი უთქვამს, იყო ზოგადი და ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები. როგორი იქნება მისი ნაკრები დღეს? ვიმედოვნოთ, რომ მისივე სიტყვებივით არაფრისმთქმელი.

**კობა ინასარიძე**



ბაჩო კორძახიას ფოტო

# რას პარგები ხართ, რუსები ხართ!

***ვიაჩესლავ კოლოსკოვი**, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი:*

— სიმართლე გითხრათ, მატჩზე მაყურებლის დასწრება ჩვენთვის არანაირი პრობლემა არ არის. გაგებით ვეკიდებით ქართველი ქომაგის მდგომარეობას და მოხარული ვარ, რომ სტადიონზე მაყურებელი მოვა.

**— ელოდით, რომ უეფა გადაწყვეტილებას შეცვლიდა? ამ ორგანიზაციიდან ხომ ასეთი რამ მოულოდნელი იყო.**

— უეფას მუშაობის სპეციფიკას კარგად ვიცნობ და, დამერწმუნეთ, ეს არ არის რაღაც წარმოუდგენელი ფაქტი. საქართველო — ირლანდიის მატჩისას მომხდარი უწესრიგობები უეფას სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა და, როგორც იცით, გადაწყვიტა, რომ 30 აპრილის მატჩი ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარებულიყო, თუმც მერე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აპელაცია შეიტანა და სააპელაციო კომიტეტმაც გადაწყვეტილება შეცვალა. ამაში განსაკუთრებული არაფერია. სააპელაციო იმიტომ არსებობს, რომ გაასაჩივრო და შენთვის სასურველი შედეგი მოითხოვო.

**— თავად რა აზრის ხართ ამ მატჩზე?**

— კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ სტადიონზე ქომაგების შეშვებას მივესალმები. თუ ძლიერი ხარ, ყველანაირ სიტუაციაში უნდა მოიგო. თუმც ფაქტია, ძალიან რთული მატჩი იქნება.

**— ითქვა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფაში დახმარება თქვენც გაუწიეთ...**

— ამას ვერ ვიტყვი. ვიცოდი, რომ მატჩი ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდებოდა და უცებ ყველაფერი შეიცვალა. ზუსტად იმ დღეს ველაპარაკე უეფას გენერალურ მდივან გერჰარდ აიგნერს, რომელმაც მითხრა, სააპელაციო კომიტეტმა გადაწყვეტილება შეცვალა და რა აზრის ხარო. რა უნდა მეთქვა? ისედაც ყველამ იცოდა, რომ საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. ასე რომ, დასკვნები თავად გააკეთეთ.

**— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან თუ გქონდათ ამ საკითხზე საუბარი?**

— ყველაფერი მოგვარებულია. როგორც ვიცი, ქართველი ქომაგი მატჩს ძველი ბილეთებით დაესწრება. უკვე მოვილაპარაკეთ, რა მდგომარეობა იქნება რუსეთიდან ჩამოსულ გულშემატკივრებთან დაკავშირებითაც. ასე რომ, ამ საკითხებში სრული შეთანხმებას მივაღწიეთ. იმედი მაქვს, ქომაგს ლამაზი და საინტერესო ფეხბურთი ელის.



ბაჩო კორძახიას ფოტო

ვიაჩესლავ კოლოსკოვი და მერაბ ჟორდანია

***დმიტრი ალენიჩევი**, რუსეთის ნაკრების ნახევარმცველი:*



ბაჩო კორძახიას ფოტო

— ურთულესი მატჩი გველის. ჩვენი მიზანი მხოლოდ სამი ქულაა და ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ თბილისი გამარჯვებულებმა დავტოვოთ. თუმც, ცხადია, ეს ძალიან გაგვიძნელდება. ევროპის ჩემპიონატზე გასვლაში ხვალინდელ შედეგს შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს ჩვენთვის. ამიტომ, ვფიქრობ, არც ერთი გუნდი უკან არ დაიხევს. თანაც, ჩემი აზრით, საქართველოს სერიოზული ნაკრები ჰყავს.

პოლიტიკა არაფერ შუაშია. მე არ მაინტერესებს, რას ფიქრობენ პოლიტიკოსები. ეს ფეხბურთია და ყველაფერი სტადიონზე გაირკვევა. წინასამატჩო სკანდალურ ამბებზე საერთოდ არ ვფიქრობ.

**ბახა შალამბერიძე**

# შუშაკი და პოლიტიკის ზღვა
## ივოს ლომები ესიზმრება



კახა კალაძე



მალხაზ ასათიანი



შოთა არველაძე

**დღეს** ივო შუშაკი პირველად გაიყვანს სათამაშოდ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს და ისიც რუსეთთან.

გუნდში მხოლოდ ერთი დანაკლისია — გასული უქმეების წინ გიორგი ქინქლაძეს ყელი ასტკივდა და სიცხემ აუწია. მაღალ ტემპერატურას „დერბის" ქართველმა ანტიბიოტიკები კი დაუშინა, მაგრამ შუშაკმა გადაწყვიტა, რომ ნაავადმყოფარი და წამლებით ახლადმომჯობინებული ფეხბურთელი სარუსეთოდ არ შეეწუხებინა.

ნაკრებს მოგვიანებით, გუშინწინ შეუერთდა შოთა არველაძე — ალექს მაკლიშმა ის არც დროზე აღრე გამოუშვა და არც „რეინჯერსი" — „სელტიკის" მატჩის განაცხადში არ შეიყვანა, რისი მიზეზიც შოთამაც ვერ მოგვახსენა.

შუშაკმა კი არველაძეზე თქვა, მგზავრობისგან გათანგული რეინჯერსელის დინამიკა და ხარისხი შესაძლოა გამოგვადგეს და ვეცდებით, ათსაათიანი მგზავრობის შემდეგ კარგად დაისვენოსო — არველაძემაც მხოლოდ გუშინ ივარჯიშა გუნდთან ერთად.

ნაკრების ხორვატმა დამრიგებელმა სამი ღია ვარჯიში აჩუქა ქართველ გულშემატკივარს, თუმცა რამდენიმე ასეულ ქომაგზე მეტი „ეროვნულზე" თუ „ლოკომოტივზე" არ მისულა.

„ლოკომოტივზე" ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა გუშინ საღამოს ივარჯიშა და ივო შუშაკსაც ცოტა არ იყოს, მძიმე დღე ჰქონდა.

სტადიონის ჩრდილოეთ ტრიბუნაზე სახელდახელოდ გამოფინეს საკრებულოს ხუთჯვრიანი დროშა, რომელსაც „საакაშვილის დროშას" უწოდებენ. თავად მიხეილ სააკაშვილს კი გუშინ ეროვნულ ნაკრებთან მონდომებია შეხვედრა და ამის შესახებ შუშაკმა ვარჯიშის დროს შეიტყო. ხორვატს ბევრი არ უფიქრია და ერთ-ერთი პოპულარული პოლიტიკოსის მოციქულები უარით გაისტუმრა.

მაგრამ ამბავი აქ როდი მთავრდება — გახურებული ვარჯიშისას „ლოკომოტივის" რეპროდუქტორებიდან სიმღერა აჟღერდა — ეროვნული გუნდის საპატივცემულოდ „ქუჩის ბიჭები" და მერაბ სეფაშვილი რომ ასრულებენ. შუშაკი შემინული ტრიბუნისკენ მიბრუნდა და ჟესტით მოითხოვა სიმღერის გამორთვა — რა ხდება, ცირკში ხომ არა ვართ — ასეთი იყო ხორვატი სპეციალისტის პირველი რეაქცია. რეპროდუქტორები მალევე დაახშეს — არც „როლინგ სტოუნზი" გვყავს და არც მწვრთნელს შეუკვეთია რაიმე მელოდია.

ჟურნალისტებს კი შუშაკმა სამი პრესკონფერენცია მოგვიწყო — პირველი აღდგომა დღეს, პირველი ღია ვარჯიშის შემდეგ „ეროვნულზე და არსებითი საკითხებიც მაშინ ჩამოაყალიბა, თუმცა არც მომდევნო პრესკონფერენციები ყოფილა უმნიშვნელო.

სანამ ხორვატის ნაუბარს შემოგთავაზებდეთ, ისიც ვთქვათ, რომ შუშაკს რამდენიმე ქართული სიტყვა კარგად აუთვისებია და ვარჯიშებზე ჩვენებურად მოკლე წინადადებებსაც აკოწიწებდა, უკმაყოფილების გამოსახატავად კი შორისდებულს იყენებს — ვაიმე! ბატონი ივო ვარჯიშებზე ძალიან მხნედ, ენერგიულად გამოიყურებოდა, ფეხბურთელებიც ფხიანები ჩანდნენ, ქომაგმა კი ვარჯიშისას ტაში გაიმეტა.

მაშ ასე, *ივო შუშაკის* წინასამატჩო ვარიაციები:

— ვარჯიშებით კმაყოფილი ვარ. გუნდში მგლები მყავს და ისინი მატჩის დღეს ლომებად გადაიქცევიან.

— მადლობა მერაბ ჟორდანიას — უეფა კონსერვატორული ორგანიზაციაა და თავის გადაწყვეტილებას იშვიათად ცვლის ხოლმე. უეფამ ჩვენს მიმართ თბილი დამოკიდებულება გამოიჩინა და ეს ყველამ უნდა დააფასოს — გულშემატკივრები ჩვენთვის დამატებითი სტიმულია, ისინი ზეწოლას ახდენენ ჩვენზე და აქედან გამომდინარე უფრო მეტად ვართ ვალდებულნი ტვირთის ტარებისთვის — ფეხბურთელებმა საკუთარ თავს უნდა აჯობონ.

— რუსეთთან მატჩში მებრძოლი სულის და ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობის კომბინაციის იმედად ვართ — არავითარი პოლიტიკა — წამყვანი ფაქტორი სპორტული მოტივაციაა.

— რაც შეეხება იმას, ქინქლაძეს მალხაზ ასათიანი შეცვლის თუ არა, უნდა გითხრათ, რომ საამატჩოდ მოაზრებული მქონდა 13-14 კაცი და ამ სიაში ორივე იყო. თუმცა ისიცაა, რომ ზოგიერთი დიდი გუნდი სულაც პლეიმეიკერის გარეშე თამაშობს.

— იმის მომხრე ვარ, რომ მარჯვენა ფლანგზე იმან ითამაშოს, ვინც მემარჯვენეა. ლადო ბურდული იმიტომ კი არ გამოვიძახებია ნაკრებში, რომ მარჯვენა ფლანგზე სხვა მემარჯვენე არ გვყავს — ბურდული სისტემატურად ხვდება ნაკრებში. ცხადია, ბურდულს ნაკლად ეთვლება ის, რომ ტრავმის მოშუშების შემდეგ 5-6 მატჩის ჩატარება ვერ მოასწრო, მაგრამ ის სერიოზულ კონკურენციაშია ნაკრების ძირითადში ადგილისთვის.

— გამარჯვებისკენ რამდენიმე გზა მიდის. ჩვენ ყველაფერი უნდა გავთვალოთ და ყველაზე ეფექტური გზა ავირჩიოთ. იგივეს ფიქრობს ჩემი კოლეგა ვალერი გაზაევიც. ვეცდები, ჩემი ფეხბურთელები მატჩისთვის თავიანთი ფორმის პიკამდე მივიყვანო.

— რუსეთში საქართველოს მოსახლეობაზე ორჯერ მეტი რეგისტრირებული ფეხბურთელია და თუ მათ ნაკრებს ვინმე ტრავმის გამო გამოაკლდა, ამას მათთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

— ალბათ — რუსეთის მატჩსს რამდენჯერმე ვუყურე რუსები თითომ ბატონობდნენ მოედანზე, მაგრამ მაინც წააგეს — საინტერესო თამაში იყო. რუსები ჩვენს წინააღმდეგ რაც შეიძლება აგრესიულად ითამაშებენ და ჩვენი ნებისმიერი შეცდომის გამოყენებას შეეცდებიან.

— რაც შეეხება იმას, არის თუ არა კახა კალაძე ქარიზმატული ჩვენი ნაკრებისთვის, გეტყვით, რომ ის ძლიერ გუნდში თამაშობს და თვითონაც ძლიერი ფეხბურთელია — კალაძე ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა.

— მატჩის წინ გუნდის ვალესიაში წასვლის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ლოცვის წინააღმდეგი კი არ ვარ. ხდება, რომ მეც ვლოცულობ ხოლმე თამაშის წინ.

— ჩვენი თერთმეტეულის მონახაზი ჩამოყალიბებული მაქვს, მაგრამ ის ჩემს გარდა ჯერ არავინ იცის — შემადგენლობას მატჩის დღეს, დილით გამოვაცხადებ. თქვენ კი იქნებ ვარჯიშზე დაკვირვებით შეძლოთ თერთმეტეულის გამოცნობა.

— გუნდში ალმაფრენა იგრძნობა, რაც დღითი-დღე იზრდება. ამაღლებულ განწყობაზე ვართ.

**დავით თავართქილაძე**

საქართველო...







# გამოიღეთ, რუსებო! ომი ჯერ არ დამთავრებულა!!!



*როცა მთავრდება დიპლომატია, იწყება ომი. როცა მთავრდება ომი, იწყება ფეხბურთი.*

*როდის იომეს ბოლოჯერ ინგლისელებმა და გერმანელებმა? — მოდით, ამაზე საპასუხოდ ნუ მოვიხმობთ მაინცდამაინც ჰენრი კისინჯერს. ინგლისელები და გერმანელები ბოლო ათეული წლებია, ერთმანეთს ფეხბურთით ეომებიან. გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ ინგლისურ-გერმანული საფეხბურთო ომები კაცობრიული ყოფის ერთ ყველაზე შუშპარა, დასამახსოვრებელ ფიესტად ქცეულა.*

*და როდის იომეს უკანასკნელად ქართველებმა და რუსებმა?*

*ვაგლახ — ქართველებს და რუსებს საომარი ჯერ კიდევ წინ აქვთ.*

*პირდაპირ ვთქვათ:*

*ჩვენ არ გვიყვარს ეს ქვეყანა.*

*მეტიც — ჩვენ გვძულს ეს ქვეყანა.*

*მაგრამ ეს ქვეყანა არსებობს.*

*და ჩვენ ამ ქვეყანასთან ჩვენი გადამწყვეტი ომი ჯერ არ გვიომია.*

*პირფერობა, ფარისევლობა და სიყალბე!!! რაც იგივეა — საცივი, ხვანჭკარა და მიმინო!!!*

*რეალურად კი:*

*სამი საუკუნე, რომლის განმავლობაშიც რუსებს არ შეუსრულებიათ ქართველებთან დადებული არც ერთი ხელშეკრულება.*

*ქართველები კი ყოველთვის ყველაზე ლამაზად იხოცებოდნენ რუსეთისათვის...*

*ჩვენ მათი ვალები გასტუმრებული გვაქვს!!!*

*დღევანდელი თამაში კი არ არის მხოლოდ ფეხბურთი, რადგანაც სანამ რუსული ჩექმა კავკასიის აქეთა მხარეს ჯეგავს, რაგინდარა ქართულ-რუსული დაპირისპირება ომია.*

*დღეს ომია.*

*ამიტომ ნურავის გაუკვირდება:*

*რუსულ-ძერჟავული ჰიმნისას სტადიონზე იქნება სტვენა და გინება და როცა რუსთა მეკარე კარიდან ბურთს გამოიღებს, ქართველებს თვალებზე სიამაყის ცრემლი მოადგებათ.*

*ომი ჯერ არ დასრულებულა.*

*გამოიღეთ, რუსებო... კარიდან ბურთი!!!*

*ლევან კელაურაძე*



# 11 001 საქართველო — რუსეთის ჩაშლის

**ჩვენთან** ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. საქართველო — რუსეთის სადღეისო მატჩის უსაფრთხოებაზე 4000-მდე პოლიციელი იზრუნებს. 3000 სამართალდამცავი სტადიონის შიდა პერიმეტრს გააკონტროლებს, 1000-იც „ლოკომოტივის" მისადგომებს გაამყარებს. ამათ გარდა ტრიბუნებზე სამოქალაქო ფორმებში გადაცმულებიც გააკეთებენ თავის საქმეს. ამგვარ სიტუაციაში, ფედერაციის მტკიცებით, მატჩის უსაფრთხოება გარანტირებული იქნება.

როგორც იცით, 25 აპრილს უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით მხოლოდ იმ ქომაგს მიეცა მატჩზე დასწრების საშუალება, ვისაც 12 ოქტომბრის ბილეთები შენახული აქვს. ფედერაციას 11 ათასი ბილეთი ჰქონდა გაყიდული და უეფამაც დამსწრეთა ზღვარად ეს რაოდენობა დათქვა. სფფ-ს მძიმე გამოცდა ელის, თუ მაყურებელთა რაოდენობამ 11 ათასს გადააჭარბა, უეფას ინსპექტორი ჩეხი რუდოლფ ბატა თამაშს არ ჩაატარებს. რეგლამენტით და ფიფას ინსტრუქციით ასეთი შემთხვევისას მას სწორედ ამის გაკეთება ევალება.

მოკლედ, ფედერაცია 11 ათასს არ უნდა გადასცდეს. ისიც შესაძლებელია, რომ საოქტომბროდ გაყიდული ბილეთების ნაწილი დახეულ-გაუქმებული იყოს და სადღეისოდ განსაზღვრულზე გაცილებით ნაკლები ბილეთიანი მიადგეს „ლოკომოტივს". ასეთ შემთხვევაში, ფედერაცია 11-ათასიან ვაკანსიას არ შეავსებს. სფფ-ის მტკიცებით, 10 ადამიანი რომ იყოს ბილეთიანი, მხოლოდ ისინი მოხვდებიან ტრიბუნებზე.

საბილეთო ამბავი რუსებით დავამთავროთ. უეფას ვერდიქტისთანავე რუსებმა იყვირეს, ჩვენც ხომ გვინდა თბილისში გულშემატკივრებიო და კოლოსკოვმა წერილი აფრინა ნიონში, ანგარიში გაგვიწიეთო. გაუწიეს და თანაც როგორ, უეფას სადისციპლინო კომიტეტის ხელმძღვანელმა პიტერ ლიმაჰერმა „ორთავა არწივის" საამებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. ძველ ბილეთიან რუს ქომაგთა გარდა თბილისში სხვებიც წამოვლენ — რჩეულთა სიას რუსეთის საფეხბურთო კავშირი წარადგენს და მათზე გაიყიდება ბილეთები. ჩვენი ფედერაცია მზადაა უეფას ვერდიქტის შესასრულებლად და, სავარაუდოდ, რუსი ფანები ორი თვითმფრინავით ეწვევიან თბილისს. ჩოლარიამ რუს ჟურნალისტებს განუცხადა, თქვენი გუნდის ქომაგებს ქართველ გულშემატკივრებზე მეტი უფლებები ექნებათო — ძნელი სათქმელია, თუ რას გულისხმობს ამ სიტყვებით ქართული ფედერაციის გენერალური მდივანი.

გაფაციცებულ სამზადისშია „ლოკომოტივის" ადმინისტრაცია. სტადიონის დირექტორ გივი ჭანტურიძეს 42-ივე თანამშრომელი დასაქმებული ჰყავს. გუშინ ლოკომოტიველებმა მოედანი გაკრიჭეს, რომელიც, ჭანტურიძის თქმით, იდეალურ მდგომარეობაშია. მინდვრის საფარი გუშინვე ივო შუშაკმა შეამოწმა და კმაყოფილიც დარჩა.

გუშინვე „ლოკომოტივი" სამი საათით გააჩახჩახეს. განათების შემოწმებამ კარგად ჩაიარა. საცდელი ჩართვა დღესაც მოხდება. ამ მხრივ მეტად ფრთხილობენ ორგანიზატორები, რადგან დღევანდელი მატჩი თელასის მიერ მოწოდებულ ელექტროენერგიაზე დაიწყება. არადა, გეხსომებათ, ასეთი ვითარება იყო 12 ოქტომბერსაც, პირველი ტაიმის ბოლოს ჩაბნელებული რომ დარჩა სტადიონი. ირლანდია-შვეიცარიასთან მატჩები გენერატორებზე ჩატარდა, ახლა კი ამ სარეზერვო ვარიანტზე უარს ამბობენ, მიზეზი თელასის გარანტიებია. ყველაფერი რიგზე იქნებაო, ირწმუნება ჭანტურიძე, არადა, გენერატორებს ამოვქოქავთო.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ დღეს სტადიონზე წამსვლელებმა თადარიგი უნდა დაიჭირონ, უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით ზუსტად 20 საათზე სტადიონის მისადგომები ბლოკირებული იქნება და იქ ჩიტიც ვერ შეფრინდება. ბლოკირებული იქნება კარს უკანა ტრიბუნებიც. იქ არც ერთი ქომაგი არ იჯდება. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ სხვადასხვა საგნის მოედანზე სროლა სწორედ კარს უკნიდან არის მოსალოდნელ-მოსახერხებელი.

**პაატა ძვანტალიანი**

თბილისი. 29 აპრილი. 12 საათი. დერბი. 100 მაყურებელი

## ლოკომოტივი 0:1 U-21

0:1 ხოჯავა (3), ბობოხიძემ ვერ გაიტანა პენალტი (75, ააცილა)

**ლოკომოტივი:** ივარდავა, ალაშვილი, რ. ონიანი, გ. ონიანი, ძამსაშვილი, სალახარი, ჭიჭვეიშვილი, კაიდარაშვილი, ძოძუაშვილი, ხოსელია, ნალგარტე
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**U-21:** მამალაძე (ბალაძე 46), გამეზარდაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე (რაზმაძე 52), კანდელაკი, კოშკაძე (კაკალაძე 62), გ. მხეტიანი (ალ. ლაბაძე 73), ზაზაშვილი (ნადირაშვილი 46), ახალაია (სვანაძე 46), ხოჯავა (დარჩიძე 52), ბობოხიძე
**მწვრთნელი:** რევაზ არველაძე

**გაფრთხილება:** გ. ონიანი (64)

**მსაჯი:** ო. ხეცაძე

# არველაძის მოწონების დღე

**მამუკა კვანტალიანი**

**საქართველოს** ახალგაზრდული გუნდის თავკაცმა რევაზ არველაძემ, ვისაც რუსებთან ურთიერთობა შესარჩევი ეტაპის ბოლო თამაშშილა აქვს გასარკვევი, საქართველოს ჩემპიონატში არსებული პაუზით ისარგებლა და ნაკრების კანდიდატები ცაკარიასის „ლოკომოტივს" გააჯიბრა.

საწვრთნელი თამაში თითქოს ვაკის სტადიონის სათადარიგო მოედანზე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იქაური საფარი თითქმის იავარქმნილია და სტუმარ-მასპინძელმა ჯიქიას ქუჩისკენ, „დერბის" საფეხბურთო აკადემიისკენ გასწიეს.

„ლოკომოტივს" ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა, ორიც არველაძემ წაჰგვარა ცაკარიასს და ისე მოხდა, რომ ბოლოს პერუელმა თითქმის ფარმკლუბელებით ჩაამთავრა თამაში.

არველაძეს ძველებთან ერთად რამდენიმე დებიუტანტიც მოეწვია, ახლები საქმეშიც იხილა და რაკი მისმა დამოძღვრილებმა იმარჯვეს, ხასიათიც საზეიმო შეიქმნა ახალგაზრდულმა გუნდმა.

მაინცდამაინც გასაოცარ ბურთაობას, რა თქმა უნდა, არ მოველოდით. ფეხბურთელებსაც არ მოუკლავთ თავი, მაგრამ იყო რამდენიმე სიახლე და დარწმუნებული ვარ, რევაზ არველაძემაც რამდენიმე ახალ მოთამაშეზე გარკვეული წარმოდგენა შეიქმნა.

ფაქტია, ნელ-ნელა იხვეწება და გამოცდილება ემატება ტორპედოელ გამეზარდაშვილს, ჯანიანი და ბეჯითი ჯეელი ჩანს მისი თანაგუნდელი ჩხეტიანიც. კოშკაძის შესაძლებლობები ადრეც იყო ცნობილი და სასიხარულოა, რომ ეს ბიჭი სასარგებლო მოთამაშედ რომ ყალიბდება.

მწვრთნელს თავი თავი მოაწონეს ბათუმელებმა, მეკარე ბალაძემ და დარჩიძემ. ბობოხიძის, ახალაიას, სალუქვაძის, ორბელაძისა და სვანაძის შესაძლებლობები კი ახალგაზრდული გუნდის თავკაცებისთვის ისედაც ცნობილი იყო.

თამაშის ერთადერთი გოლი კი გოჩა ხოჯავამ მიითვალა, რომელმაც ჯარიმიდან ბურთი ცოცხალ კედელს ოსტატურად შემოავლო და ივარდავას მარცხენა კუთხეში გაუტანა. ისე, ბევრისთვის გასაკვირი იყო, როგორ ვერ მოხვდა გოჩა ცხრამეტწლამდელთა ნაკრებში. თუ კორლალიძის გუნდში უკეთესები თამაშობენ, მაშინ ნამდვილად მოვუგებთ იტალიას.

ნამატჩევს მცირე კომენტარი არ დაიზარა *რევაზ არველაძემ*: „მხოლოდ ერთი თამაშის მიხედვით ნაკრების კანდიდატებზე სრულ წარმოდგენას ვერ შევიქმნით. ზოგიერთი პირველად გამოვიძახეთ ახალგაზრდულ გუნდში და ნერვიულობაც ემჩნეოდათ. ძიება კიდევ გაგრძელდება, თუმც ძირითადი მონახაზი მაინც გაკეთებულია. არც იმას დავმალავ, რომ რამდენიმე ახალწვეულმა თავი მომაწონა".

# ფრაიბურგმა ბუნდესლიგა გადადო

## დემეტრაძემ გოლი გაიმეორა, ყაველაშვილმა გაიხსენა

**დღეს** ქართველი ქომაგისთვის ასე ნანატრი, რთული, სკანდალური, ლამის ასგზის გადადებულ-ჩაშლილი და უღმერთოდ გაწელილი მატჩია. საქართველო — რუსეთი ჩვენთვის რასაც ნიშნავს, ცხადზე ცხადია.

საქართველოს ნაკრების ახალმა თავკაცმა ივო შუშაკმაც რუსებთან საომრად რჩეული ქართველები რამდენიმე დღეა, შეკრიბა. დღევანდელ მიმოხილვაში უფრო ნაკრების წევრების მიერ ევროპაში ნათამაშებ მატჩებზე მოგითხრობთ.

კახა კალაძემ და „მილანმა“ იტალიის დედაქალაქში დატოვეს სკუდეტოს მოპოვების ისედაც შემცირებული შანსი. უამბიციო „რომამ“ 2:1 სძლია კარლო ანჩელოტის გუნდს. ტრავმის შემდეგ მომჯობინებული ქართველი მცველი კი ამ დღეს პირველად გამოჩნდა ძირითად შემადგენლობაში და 90 წუთიც ითამაშა. კალაძემ შეხვედრა მარცხენა ფლანგზე დაიწყო, თუმც ალესანდრო ნესტას დაშავების შემდეგ მეორე ტაიმში დაცვის ცენტრში გადაინაცვლა. ერთხელ მისი პასით ანდრეი შევჩენკოს გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ უკრაინელმა კარს ოდნავ აცილა.

ბუნდესლიგის კართან აყუდებული „ფრაიბურგი“ ამ ტურში ერთი ქართველით, ალექსანდრე იაშვილით ეწვია მეტოქეს და 0:4 დამარცხდა. ისე, ნუ გაგიკვირდებათ, მომავალ სეზონში ბუნდესლიგა ერთმა „ქართულმა“ გუნდმაც რომ დააჭაშნიკოს — გიორგი დეკანოსიძის „ფიურტი“ „ფრაიბურგთან“ მოგების შემდეგ მეტად მიუახლოვდა ჯერაც უპატრონოდ დარჩენილ მესამე საგზურს. „ფიურტს“ და მესამე ადგილზე მყოფ „აინტრახტს“ შორის სხვაობა ახლა მხოლოდ სამი ქულაა. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ დეკანოსიძის წვლილი ამაში ერთობ მწირია — ჩვენებურს არც ამჯერად უთამაშია.

ზედიზედ მეორე ტურია, გოლი გოლზე გააქვს გიორგი დემეტრაძეს. მისმა „მეტალურგმა“ 2:0 მოუგო შინ უკრაინის პირველ ჩემპიონ სიმფეროპოლის „ტავრიას“. მოედანზე „დემეს“ გარდა კიდევ ორი ჩვენებური — სანაკრებო კარიერის დამსრულებელი გოჩა ჯამარაული და სტუმართა ლიდერი ვასილ გოგიაძე იყვნენ.

რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე სიმპათიურ გუნდად მონათლულმა „სპარტაკ-ალანიამ“ როსტოვში დაყარა ფარ-ხმალი. მიხეილ აშვეთია კი ჟურნალისტებმა სტუმართაგან საუკეთესოდ დაასახელეს.



მიხეილ ყაველაშვილი

შოტლანდიაში საჩემპიონო ბრძოლამ ინტრიგა დაიბრუნა. „რეინჯერსმა“ შინ მოსისხლე „სელტიკთან“ 1:2 წააგო. „ჩაფართა“ რიგებში საერთოდ არ გამოჩენილა შოთა არველაძე, რომელიც მწვრთნელმა მატჩის განაცხადშიც არ შეიყვანა.

როგორც იქნა, მოიგო „ქოჯაელისფორმა“. იზმითელების საჯიჯგნი „დენიზლი“ გამოდგა. უმთავარმწვრთნელოდ დარჩენილმა „ქოჯაელისფორმა“ ნანატრი სამი ქულა ქართველების გარეშე მოიპოვა. არც ერთი ჩვენებური მატჩის განაცხადშიც არ ყოფილა.

დაბოლოს, ერთიც ვთქვათ — საქართველოს ნაკრებიდან ამ ბოლო ხანს რატომღაც მოძულებულმა მიხეილ ყაველაშვილმა 90-ე წუთზე გაუტანა „სიონს“ და თავის გუნდს ქულა გადაურჩინა. ახლა „ლუცერნი“ მეხუთე ადგილზეა და წესით ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს.

**კახა ზალამბერიძე**



გია ახალაძის ფოტო

გიორგი დემეტრაძე

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | რომა 1:2 | 90 | | 24 | 0 | 3 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ფიურტი 0:4 | 70 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 20 | 1 | 2 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ფიურტი 0:4 | 0 | ტრავმირებულია | 25 | 9 | 2 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ფიურტი 0:4 | 0 | | 26 | 2 | 2 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | ფიურტი 0:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ზანკტ პაული 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | ფრაიბურგი 4:0 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 5 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ვატენშაიდი 3:2 | 90 | გააფრთხილეს | 22 | 5 | 2 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | უნტერჰახინგი | ს | ფულენდორფი 3:0 | 0 | | 12 | 1 | 1 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | ს | უოლსოლი 2:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 27 | 4 | 19 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | სელტიკი 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 23 | 13 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | კილმარნოკი 0:1 | 0 | | 18 | 0 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | კილმარნოკი 0:1 | 0 | | 11 | 0 | 6 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | ს | გრააფსხაპი 6:1 | 0 | | 8 | 1 | 1 |
| **ბელგია. მეორე დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | რუზელარე | შ | გეელი 2:0 | 90 | | 21 | 0 | 17 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | პაშინგი 3:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 24 | 5 | 5 |
| **შვეიცარია. A/B ჯგუფი** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | შ | სიონი 1:1 | 90 | 1 გოლი | 21 | 4 | 4 |
| **შვეიცარია. B ჯგუფი** | | | | | | | | |
| ლევან ხომერიკი | ვილენი | ს | ლოზანა 1:4 | 90 | | 6 | 3 | 3 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ტ. მეტალურგი 1:0 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 11 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | შ | ზენიტი 1:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 12 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | შ | ზენიტი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 12 |
| მიხეილ აშვეთია | სპარტაკ-ალანია | ს | როსტოვი 1:3 | 90 | | 6 | 0 | 6 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სპარტაკ-ალანია | ს | როსტოვი 1:3 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 0 | 6 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | ურალანი 0:0 | 45 | შეცვალეს | 3 | 0 | 7 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | ურალანი 0:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 7 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | ურალანი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ჩერნომორეცი | შ | ცსკა 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | დინამო 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 8 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | დინამო 2:1 | 0 | ტრანსფერზეა | 0 | 0 | 8 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | ს | ლოკომოტივი 0:1 | 90 | | 5 | 0 | 16 |
| დავით ხმელიძე | როსტოვი | შ | სპარტაკ-ალანია 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | ს | რუბინი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | ს | ურალი 0:0 | 0 | | 3 | 0 | 15 |
| კახა მყავანაძე | ანჟი | ს | ურალი 0:0 | 90 | | 6 | 0 | 15 |
| ზურაბ არჩვაძე | ლოკომოტივი ჩ. | ს | ხიმკი 0:1 | 0 | სათადარიგო | 7 | 0 | 7 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი ჩ. | ს | ხიმკი 0:1 | 90 | | 8 | 3 | 7 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | სკა-ენერგია 3:2 | 66 | შეცვალეს | 5 | 0 | 5 |
| ზვიად ჯელაძე | ბალტიკა | | ტური გამოტოვა | | | 4 | 0 | 8 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | | ტური გამოტოვა | | | 0 | 0 | 8 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | ტავრია 2:0 | 90 | | 14 | 2 | 5 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ტავრია 2:0 | 90 | 1 გოლი | 7 | 3 | 5 |
| რევაზ გოცირიძე | კრივბასი | შ | ვოლინი 0:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 7 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | შ | ვოლინი 0:1 | 90 | | 14 | 0 | 7 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | შ | ვოლინი 0:1 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 7 |
| ვასილ გოგიაძე | ტავრია | ს | მ. დონეცკი 0:2 | 90 | | 21 | 7 | 8 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | მ. დონეცკი 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 1 | 8 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | მ. დონეცკი 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 13 | 0 | 8 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ალექსანდრია 1:2 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 17 | 2 | 16 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | ილიჩევეცი 0:0 | 90 | | 21 | 13 | 3 |
| **თურქეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გია იმედაძე | ქოჯაელი | ს | დენიზლი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 1 | 18 |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | დენიზლი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 10 | 0 | 18 |
| რევაზ ქემოკლიძე | ქოჯაელი | ს | დენიზლი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 0 | 18 |
| ზაზა ჯანაშია | ქოჯაელი | ს | დენიზლი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 0 | 18 |
| **უნგრეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | დებრეცენი | ს | უიპეშტი 3:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ. | 14 | 1 | 3 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | ს | ვისლა 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 1 | 8 |
| ლაშა რეხვიაშვილი | რუხი | შ | ვიძევი 1:2 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 11 |
| **კვიპროსი. თასის ნახევარფინალი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | აპოელი 2:0 | 90 | საგოლე პასი | | | |
| ლევან მაღრაძე | აელ | შ | ომონია 2:1 | 90 | გააფრთხილეს | | | |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | დინაბურგი 2:0 | 0 | | 3 | 0 | 2 |
| თამაზ პერტია | არმა | ს | აუდა 0:1 | 68 | შეცვალეს | 4 | 0 | 8 |
| **ბელარუსი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ბესიკ კოდალაევი | სლავია | შ | ლოკომოტივი 0:2 | 0 | | 0 | 0 | 16 |
| ირაკლი კუქავა | სლავია | შ | ლოკომოტივი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 16 |
| ზურაბ აიანადი | სლავია | შ | ლოკომოტივი 0:2 | 0 | | 0 | 0 | 16 |
| გიორგი ბერიანიძე | ლოკომოტივი | ს | სლავია 2:0 | 0 | | 1 | 0 | 2 |
| ზაზა კვეკვესკირი | ლოკომოტივი | ს | სლავია 2:0 | 41 | შეცვალეს | 2 | 0 | 2 |
| გიორგი ფურცელაძე | ტორპედო სკა | შ | ნაფტანი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 9 |
| დავით ჭილაძე | ტორპედო სკა | შ | ნაფტანი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 9 |
| ბესიკ ჭილაძე | ტორპედო სკა | შ | ნაფტანი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 9 |
| სულიკო კაკაბაძე | ნაფტანი | ს | ტორპედო სკა 1:1 | 90 | | 2 | 0 | 5 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ბახვა ამბიძე | ბატისი | შ | ატირაუ 1:0 | 90 | | 2 | 0 | 11 |
| პაატა გამცემლიძე | ბატისი | შ | ატირაუ 1:0 | 48 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 11 |
| კახა გოგოლაძე | ბატისი | შ | ატირაუ 1:0 | 73 | 1 გოლი, შეცვალეს | 2 | 1 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# მგონი






ვესტ ბრომვიჩი — ლივერპული. მაიკლ ოუენმა და მილან ბაროშმა ექვსი გოლი მიითვალეს, აქედან ოთხი ოუენისაა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXVI ტური

**ტოტენჰემი 0:2 მანჩესტერი**

0:1 სქოულზი (69), 0:2 ვან ნისტელროოი (90)

ტოტენჰემი: კელერი, კარი, ტარიკო, კინგი, რიჩარდსი (ე. გარდნერი 31), ს. დევისი, პოიეტი, ტოდა (ივერსენი 78), ეზერინგტონი (ბუნიევჩევიჩი 79), შერინგემი, რობი კინი

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

მანჩესტერი: კეროლი, უესლი ბრაუნი (გ. ნევილი 54), ოში, რ. ფერდინანდი, სილვესტრი, ბექემი, როი კინი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროოი, სოლსკიაერი (ფორჩუნი 72)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მსაჯი: უინტერი

36 073 მაყურებელი

**ბოლტონი 2:2 არსენალი**

0:1 ვილტორდი (47), 0:2 პირესი (56), 1:2 ჯორკაეფი (74), 2:2 კიოუნი (84ს.კ.)

ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, ბერგსონი, ლავილი, მენდი (ანდრე 71), კამპო (ნოლანი 71), ფრანდსენი, ოკოჩა, რ. გარდნერი, ჯორკაეფი, პედერსენი (სალვა 83)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

არსენალი: სიმენი, ლორენი (ვან ბრონკჰორსტი 72), ს. კემპბელი, სიგანი (კიოუნი 67), ეშლი კოული, ლიუნგბერგი (ლუჟენი 58), პარლოუ, ჟილბერტო სილვა, პირესი, ანრი, ვილტორდი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ლავილი, კამპო, ანრი, პარლოუ

გაძევება: ლავილი (90)

მსაჯი: დურსო

27 253 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:1 ნიუკასლი**

0:1 სოლანო (43პ)

სანდერლენდი: სორენსენი, დ. უილიამსი, ბიორკლუნდი, კრადოკი, გრეი, არკა (ფლო 83), კილბეინი, ტორნტონი, კაილი, პროქტორი (რაიანი 76), ბელიონი

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ვუდგეიტი, ობრაიენი (კოლდუელი 19), ა. ჰიუზი, სოლანო, დაიერი, ჯენასი, ვიანა (ბერნარი 72), შირერი (ამეობი 26), ბელამი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

გაფრთხილება: უილიამსი, პროქტორი, ბიორკლუნდი, კაილი, ვიანა, კოლდუელი, დაიერი, გრიფინი

მსაჯი: ბენეტი

45 067 მაყურებელი

**ჩელსი 1:1 ფულემი**

1:0 გომა (39ს.კ.), 1:1 ბოა მორტე (66)

ჩელსი: კუდიჩინი, გალასი (მელხიოტი 72), დესაი, ტერი, ლე სო, დე ლუკასი (ლ. მორისი 72), ლამპარდი, ე. პეტი, გრონკიაერი (გუდიონსენი 59), ძოლა, ჰასელბაინკი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

ფულემი: მაიკ ტეილორი, ფინანი, მელვილი, გომა, ჰარლი, მალბრანკი (ჰეილსი 83), კლარკი, შ. დევისი, ლეგვინსკი, ჰემონდი, ბოა მორტე (კოლინზი 83)

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: პეტი, გრონკიაერი, ტერი, ბოა მორტე, კლარკი

მსაჯი: ბარბერი

40 792 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 0:6 ლივერპული**

0:1 ოუენი (15), 0:2 ბაროში (47), 0:3, 0:4, 0:5 ოუენი (49, 61, 67), 0:6 ბაროში (84)

ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, ბალიში, გრეგანი (ჟორდაო 86), უოლვორკი (ჯ. ჩემბერსი 55), კლემენტი, ე. ჯონსონი, მაკინსი, კუმასი, უდეზე (ლიტლი 73), დიჩიო, რობერტსი

მწვრთნელი: გარი მეგსონი

ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე, რიისე (დიაო 79), დიუფი (ჰესკი 69), დენი მერფი (შეირუ 83), ჰამანი, ჯერარდი, ოუენი, ბაროში

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: დიჩიო, ტრაორე

მსაჯი: გალაჰერი

27 128 მაყურებელი

**ევერტონი 2:1 ასტონ ვილა**

0:1 ოლბოკი (49), 1:1 კემპბელი (59), 2:1 რუნი (90)

ევერტონი: რ. რაიტი, ჰაიბერტი, ვეირი, სტაბსი, ანსუორთი (დ. ფერგიუსონი 56), უოტსონი (ოსმანი 90), კარსლი, გრაველსენი, ნეისმიტი, კ. კემპბელი, რუნი (ჯემილი 90)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

ასტონ ვილა: ენკელმანი, ედვარდსი (უიტინგემი 46), მელბერგი, იონსენი (ი. ტეილორი 46), სტონტონი, ლეონარდსენი (ვასელი 67), გუდიონსონი, ჰიცლსპერგერი, ჯ. სამუელი, დაბლინი, ოლბოკი

მწვრთნელი: გრემ ტეილორი

გაფრთხილება: ვასელი

მსაჯი: პოლი

40 167 მაყურებელი

**ლიდსი 2:3 ბლეკბერნი**

1:0 ვიდუკა (21), 1:1 დანი (38პ), 1:2 კოული (69), 1:3 ტოდი (78), 2:3 სმიტი (90)

ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი, დაბერი, მატეო, ჰარტი, გ. კელი, ბაკე (საიმონ ჯონსონი 71), უილკოქსი, სმიტი, ვიდუკა, კოული

მწვრთნელი: პიტერ რიდი

ბლეკბერნი: ფრიდელი, ნაილი, შორტი (ტოდი 66), მარტინ ტეილორი, გრეშკო, დ. დანი (ნ. იოჰანსონი 51), თუგაი, ფლიტკროფტი, დაფი, ენდი კოული, ჰ. შუქური (იორკი 61)

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: დაბერი, მატეო, კოული

მსაჯი: დარკინი

38 062 მაყურებელი

**ჩარლტონი 2:1 საუთჰემპტონი**

1:0 პარკერი (32), 2:0 ლისბი (50), 2:1 ბიტი (90)

ჩარლტონი: დ. კელი, კიშიშევი, ფორტუნი, იანგი, კ. პაუელი, ლისბი, პარკერი, კ. იენსენი, კონჩესკი, იუელი, ბარტლეტი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, მონკი (ტესემი 66), მიხაელ სვენსონი, ლუნდეკვამი, ბრიჯი, პრატონი, ოკლი, ა. სვენსონი (ფ. ფერნანდესი 58), მარსდენი, ბიტი, ორმეროდი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: ბარტლეტი, ბრიჯი

მსაჯი: ვაილი

25 894 მაყურებელი

**სიტი 0:1 ვესტ ჰემი**

0:1 კანო (81)

სიტი: შმაიხელი, რ. დანი, ნ. იენსენი (გოტერი 87), დისტინი, სომეილი, ფოე, ჟ. ბარტონი, ბენარბია (ბელმადი 71), რაიტ-ფილიპსი, ანელკა, ფაულერი (მაკენი 71)

მწვრთნელი: კევინ კიგანი

ვესტ ჰემი: ჯეიმსი, მ. ჯონსონი, პირსი (დეილი 85), რეპკა, ბრევეტი, ტ. სინკლერი, ჯ. კოული, ლომასი, ე. სისე (კანო 46), ლ. ფერდინანდი (ჰათჩისონი 54), დეფო

მწვრთნელი: ტრევორ ბრუკინგი

გაფრთხილება: სომეილი, დეფო

მსაჯი: სტაილზი

34 815 მაყურებელი

**ბირმინგემი 3:0 მიდლსბრო**

1:0 დიუგარი (18), 2:0 კლემენსი (40), 3:0 ლაზარიდისი (80)

ბირმინგემი: ბენეტი, კენა, კანინგენი, აპსონი, კლეპამი, დ. ჯონსონი, სევიჯი, კლემენსი, მ. ჰიუზი (ლაზარიდისი 70), დიუგარი (ჯონი 81), ჰორსფილდი (დევლინი 75)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, ემიოგუ, კუპერი (დორივა 46), საუთგეიტი, კედრუ, ჟობი (მაკარონე 78), ბოატენგი, გრინინგი, კრისტი, რიკეტსი (ნემეტი 67)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: ჰიუზი, ბოატენგი, მაკარონე

მსაჯი: დინი

28 821 მაყურებელი

„მანჩესტერ იუნაიტედი" მგონი ჩემპიონი გახდა. „მგონი" იმიტომ, რომ პრემიერლიგის დასრულებამდე ორი ტურიღა დარჩა, „მანჩესტერი" კი 5 ქულით უსწრებს „არსენალს", რომელსაც იმავდროულად თამაშით ნაკლებიც აქვს.

თუმცა, ეს „მგონი" ჯერჯერობით მაინც საკმაოდ ძლიერია, რადგან „მეთოფეთა" კალენდარი უფრო იოლი ჩანს, სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს კი წაბორძიკების უფლებაც არა აქვს. თუნდაც ის რად ღირს, რომ სულ ბოლო ტურში „მანჩესტერი" „ევერტონს" სტუმრობს, „არსენალი" კი კარგახნის გავარდნილ „სანდერლენდს" უმასპინძლებს.

„მგონი" უქმეებზე მოხდა, როცა „ბოლტონმა" „რიბოკის" მინდორზე 2 ქულა გამოგლიჯა „მეთოფეებს" და 0:2-დან შემოუტრიალა თამაში. ეს შაბათს იყო, კვირას კი, ამ ანგარიშის მცოდნე „მანჩესტერმა" დიდი ბრძოლით გატეხა მასპინძელ „ტოტენჰემის" და მისი ბრწყინვალე მეკარის კეისი კელერის წინააღმდეგობა. 69-ე წუთზე პოლ სქოულზმა თავი ჩაჰკრა რაიან გიგზის ჩაწოდებულს და ასე გახსნა ანგარიში. პრემიერლიგის ბოლო სამ ტურში სქოულზმა მეექვსედ გაიტანა და თუ „მანჩესტერი" ჩემპიონი გახდა, ამ ჟღალთმიანი ცეროდენასი ლომის წილი იქნება. „მანჩესტერს" სასტარტოში ჰყავდა დევიდ ბექემი, ოღონდ კარში არ ეყენა ფაბიენ ბარტეზი, რომელსაც, როგორც ამბობენ, ბოლო დროის უვარგისობა ძვირად დაუჯდება.

თამაში მთავრდებოდა, როცა რუუდ ვან ნისტელროიმ მაინც გაიტანა თავისი გოლი კვინტონ ფორჩუნის საუცხოო პასის შემდეგ. „ისეთი თამაში იყო, რომ ვერ დამშვიდდებოდი. მხოლოდ მაშინ დავწყნარდი, როცა თამაშის დამთავრებამდე აღარაფერი რჩებოდა" — თქვა ფერგიუსონმა.

წინა საღამოს კი „ბოლტონმა" მორიგი ამბავი მოახდინა. პირველი ტაიმი „არსენალის" წინააღმდეგ უგოლოდ დასრულდა, მეორე ნახევრის პირველ ათ წუთში სილვენ ვილტორდმა და რობერ პირესმა თითო გაუტანეს მასპინძელთა მეკარე იასკეალაინენს, ოღონდ ამან „ბოლტონი" ვერ გატეხა და იური ჯორკაეფმა და მისმა ამხანაგებმა, რომელთა შორისაც ჯეი-ჯეი ოკოჩა ჩვეული გამორჩეულობით იწეპებდა ბურთს ფეხზე, ჯერ ერთი გაიტანეს, მერე კიდევ მეორე. ბოლო თხუთმეტ წუთში ჯორკაეფის გოლს მოჰყვა გამათანაბრებელი, რომელიც „მეთოფე" მარტინ კიოუნის თავიდან შევარდა დევიდ სიმენის კარში. სულ ბოლოს მასპინძლებს ფლორინ ლავილი გაუძევეს, მაგრამ ამან ველარაფერი შეცვალა. „ვერ ვხვდები რა შეგვეშალა. საჩემპიონო ბრძოლის სადავეები ჩვენს ხელში აღარ არის. სხვათა შედეგებს უნდა დაველოდოთ" — თქვა უხასიათოდ დარჩენილმა არსენ ვენგერმა.

„ბოლტონმა" კი მაინც ვერ დაიგულა გული საგულეს — დარჩა მეთვრამეტე ადგილზე და თუმცა, მხოლოდ ქულით ჩამორჩება „ლიდსს", რომელმაც კვლავ წააგო, მხოლოდ ორი ქულით უსწრებს თავდადებით მებრძოლ „ვესტ ჰემს". „ვესტ ჰემის" სათავეში დროებით დგას გუნდის ლეგენდა ტრევორ ბრუკინგი, რომელმაც ავადმყოფი გლენ როედერი შეცვალა. დებიუტი იღბლიანი გამოდგა — ფრედერიკ კანომ სტუმრად გაუტანა „მანჩესტერ სიტის" და ლონდონელებმა თამაშის ამ ერთადერთი გოლით მოიგეს.

დასავლეთლონდონურ დერბიში ასევე დროებითი მწვრთნელის ხელქვეით მოთამაშე „ფულემმა" ქულა აართვა „ჩელსის", რომელიც „ვესტ ბრომვიჩის" გამანადგურებელ „ლივერპულს" საუკეთესო ბურთებითღა უსწრებს, ორივენი კი მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან „ნიუკასლს".

შაბათი მაიკლ ოუენის დღე იყო — მან ოთხი სხვადასხვანაირი გოლი გაიტანა

**ირაკლი ბამყრელიძე**



ტოტენჰემი — მანჩესტერი. რუუდ ვან ნისტელროიმ 21-ე პრემიერლიგური გოლით გაიხარა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 36 | 23 | 8 | 5 | 68:32 | 36 | 77 | 18 | 15 | 2 | 1 | 38:11 | 27 | 47 | 18 | 8 | 6 | 4 | 30:21 | 9 | 30 |
| 2 | არსენალი | 35 | 21 | 9 | 5 | 73:38 | 35 | 72 | 17 | 14 | 2 | 1 | 39:16 | 23 | 44 | 18 | 7 | 7 | 4 | 34:22 | 12 | 28 |
| 3 | ნიუკასლი | 36 | 20 | 5 | 11 | 60:46 | 14 | 65 | 18 | 14 | 2 | 2 | 35:17 | 18 | 44 | 18 | 6 | 3 | 9 | 25:29 | -4 | 21 |
| 4 | ჩელსი | 36 | 18 | 10 | 8 | 66:36 | 30 | 64 | 18 | 11 | 5 | 2 | 39:14 | 25 | 38 | 18 | 7 | 5 | 6 | 27:22 | 5 | 26 |
| 5 | ლივერპული | 36 | 18 | 10 | 8 | 59:37 | 22 | 64 | 18 | 9 | 8 | 1 | 29:14 | 15 | 35 | 18 | 9 | 2 | 7 | 30:23 | 7 | 29 |
| 6 | ევერტონი | 36 | 17 | 8 | 11 | 47:45 | 2 | 59 | 18 | 11 | 5 | 2 | 27:17 | 10 | 38 | 18 | 6 | 3 | 9 | 20:28 | -8 | 21 |
| 7 | ბლეკბერნი | 36 | 15 | 11 | 10 | 47:42 | 5 | 56 | 18 | 9 | 6 | 3 | 23:14 | 9 | 33 | 18 | 6 | 5 | 7 | 24:28 | -4 | 23 |
| 8 | ტოტენჰემი | 36 | 14 | 8 | 14 | 50:53 | -3 | 50 | 18 | 9 | 4 | 5 | 30:25 | 5 | 31 | 18 | 5 | 4 | 9 | 20:28 | -8 | 19 |
| 9 | ჩარლტონი | 36 | 14 | 7 | 15 | 44:51 | -7 | 49 | 18 | 8 | 3 | 7 | 26:29 | -3 | 27 | 18 | 6 | 4 | 8 | 18:22 | -4 | 22 |
| 10 | საუთჰემპტონი | 35 | 12 | 12 | 11 | 41:40 | 1 | 48 | 18 | 9 | 7 | 2 | 25:16 | 9 | 34 | 17 | 3 | 5 | 9 | 16:24 | -8 | 14 |
| 11 | სიტი | 36 | 14 | 6 | 16 | 45:52 | -7 | 48 | 18 | 9 | 2 | 7 | 28:25 | 3 | 29 | 18 | 5 | 4 | 9 | 17:27 | -10 | 19 |
| 12 | ბირმინგემი | 36 | 13 | 8 | 15 | 39:45 | -6 | 47 | 18 | 8 | 4 | 6 | 23:21 | 2 | 28 | 18 | 5 | 4 | 9 | 16:24 | -8 | 19 |
| 13 | მიდლსბრო | 36 | 12 | 10 | 14 | 42:41 | 1 | 46 | 18 | 9 | 7 | 2 | 31:20 | 11 | 34 | 18 | 3 | 3 | 12 | 11:21 | -10 | 12 |
| 14 | ასტონ ვილა | 36 | 11 | 9 | 16 | 40:44 | -4 | 42 | 18 | 10 | 2 | 6 | 24:14 | 10 | 32 | 18 | 1 | 7 | 10 | 16:30 | -14 | 10 |
| 15 | ფულემი | 36 | 11 | 9 | 16 | 38:50 | -12 | 42 | 18 | 10 | 3 | 5 | 24:18 | 6 | 33 | 18 | 1 | 6 | 11 | 14:32 | -18 | 9 |
| 16 | ლიდსი | 36 | 12 | 5 | 19 | 52:54 | -2 | 41 | 18 | 6 | 3 | 9 | 22:25 | -3 | 21 | 18 | 6 | 2 | 10 | 30:29 | 1 | 20 |
| 17 | ბოლტონი | 36 | 9 | 13 | 14 | 38:50 | -12 | 40 | 18 | 6 | 8 | 4 | 24:23 | 1 | 26 | 18 | 3 | 5 | 10 | 14:27 | -13 | 14 |
| 18 | ვესტ ჰემი | 36 | 9 | 11 | 16 | 39:57 | -18 | 38 | 18 | 4 | 7 | 7 | 20:24 | -4 | 19 | 18 | 5 | 4 | 9 | 19:33 | -14 | 19 |
| 19 | ვესტ ბრომვიჩი | 36 | 6 | 6 | 24 | 26:62 | -36 | 24 | 18 | 3 | 4 | 11 | 15:32 | -17 | 13 | 18 | 3 | 2 | 13 | 11:30 | -19 | 11 |
| 20 | სანდერლენდი | 36 | 4 | 7 | 25 | 21:60 | -39 | 19 | 18 | 3 | 2 | 13 | 11:27 | -16 | 11 | 18 | 1 | 5 | 12 | 10:33 | -23 | 8 |

### XXXVII ტური

3 მაისი

არსენალი — ლიდსი
ვესტ ჰემი — ჩელსი
ასტონ ვილა — სანდერლენდი
ბლეკბერნი — ვესტ ბრომვიჩი
ფულემი — ევერტონი
ლივერპული — მანჩესტერ სიტი
მანჩესტერი — ჩარლტონი
მიდლსბრო — ტოტენჰემი
ნიუკასლი — ბირმინგემი
საუთჰემპტონი — ბოლტონი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 23 |
| ანრი (არსენალი) | 22 |
| ვან ნისტელროოი (მანჩესტერი) | 21 |
| ოუენი (ლივერპული) | 19 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 18 |
| შირერი (ნიუკასლი) | 17 |

## პირველი დივიზიონი

### XLV ტური

**უოლსოლი 3:2 დერბი ქაუნთი**

1:0, 2:0 ჯუნიორი (3, 51), 2:1 ვალაკარი (59), 3:1 ჯუნიორი (70), 3:2 რავანელი (83)

**ლესტერი 1:1 ნორვიჩი**

1:0 ბენჯამინი (20), 1:1 რივერსი (74)

**პორტსმუთი 3:2 როტერჰემი**

1:0 მერსონი (11), 1:1 ბრენსტონი (16), 2:1 ტოდოროვი (22), 2:2 სვეილზი (29), 3:2 ტოდოროვი (45)

**ბრაიტონი 4:0 უოტფორდი**

1:0 ბლექველი (13), 2:0 კიტსონი (27), 3:0 ზამორა (72), 4:0 ოუტვეი (90)

**ბარნლი 2:7 შეფილდ უენსდი**

0:1 მაკლარენი (3), 0:2 ვესტვუდი (5), 0:3 ვუდი (32), 1:3 ბლეიკი (42), 1:4 ევანსი (47), 2:4 ბლეიკი (53), 2:5 ჰასლამი (66), 2:6 გნოერი (73ს.კ.), 2:7 ქუინი (80)

**ქოვენთრი 0:0 ჯილინგემი**

**კრისტალ პალასი 1:0 სტოკი**

1:0 ადებოლა (82)

**იფსვიჩი 1:5 უიმბლდონი**

0:1 შიპერლი (28), 0:2 ნოულენდი (60), 1:2 მ. ბენტი (79), 1:3, 1:4 კონოლი (83, 85), 1:5 ტაპი (88)

**ნოტინგემი 3:3 მილუოლი**

1:0 ჯესი (19), 2:0 ბოპი (22), 2:1 ნიტერკოტი (25), 2:2 ჩეპილი (67), 3:2 ჯონსონი (72), 3:3 ჰარისი (87)

**პრესტონი 1:0 ბრედფორდი**

1:0 ებოტი (13)

**რედინგი 2:1 გრიმსბი**

1:0 ლიტლი (2), 2:0 ჰიუზი (22), 2:1 კინი (90)

**შეფილდ იუნ. 3:3 ვულვერჰემპტონი**

| 24.00 | 377 | მოლდე-ლინი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1.1 | 1.21 | 2,09 |
| | | **5 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 378 | ბრანი-ვაიკინგი | 2,45 | 3.4 | 2,45 | 1,42 | 1,22 | 1.42 |

**რუსეთი. ლიგის თასი. ¼ ფინალი. I ეტაპი.**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 381 | ჩერნომორეცი-ალანია | 1.9 | 3.2 | 3,8 | 1,19 | 1.26 | 1.73 |

**ლიბერტადორესის თასი**
**1/8 ფინალი. I ეტაპი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 02.30 | 383 | რივერ პლეიტი-კორინთიანსი | 1.95 | 3,2 | 3,6 | 1.21 | 1.26 | 1.69 |

**ევრო 2004. შესარჩევი მატჩები**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 384 | ანდორა-ესტონეთი | 8,0 | 3.8 | 1.4 | 2,57 | 1.19 | 1,02 |
| 20.00 | 385 | საქართველო-რუსეთი | 3.6 | 3.2 | 1.9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 21.00 | 386 | ლატვია-სან მარინო | 1,05 | 8,0 | 30,0 | 1 | 1.01 | 6.31 |
| | 387 | ლატვია-სან მარინო 0:2 | 1,65 | 5,0 | 2.4 | | | |
| 23.30 | 388 | ისრაელი-კვიპროსი (ნეიტრ.) | 1.6 | 3,4 | 5,6 | 1.08 | 1.24 | 2.11 |
| 23.30 | 389 | მალტა-სლოვენია | 11,0 | 5.6 | 1.2 | 3.71 | 1.08 | 1 |
| | 390 | მალტა-სლოვენია 1:0 | 3,6 | 3,4 | 1.55 | | | |

**ეჩ შესარჩევი მატჩები. 21 წლამდე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 395 | ისრაელი(21)-კვიპროსი(21) | 1,75 | 3,3 | 4.4 | 1.14 | 1,25 | 1,88 |

**ამხანაგური მატჩები**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 11.30 | 396 | ავსტრალია-კამერუნი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1.32 | 1,3 | 1.52 |
| 19.00 | 397 | შვედეთი-ხორვატია | 1.85 | 3,1 | 4.2 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 19.00 | 398 | ფინეთი-ისლანდია | 1.6 | 3.4 | 5.6 | 1,08 | 1.24 | 2.11 |
| 20.00 | 399 | ს.აფრიკა-იამაიკა | 1,65 | 3.4 | 5,0 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 20.00 | 400 | ლიტვა-რუმინეთი | 3.4 | 3,2 | 2.05 | 1.64 | 1.27 | 1.24 |
| 20.00 | 401 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.35 | 4,2 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| | 402 | ბულგარეთი-ალბანეთი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2.7 | | | |
| 21.00 | 403 | სლოვაკეთი-საბერძნეთი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1.32 | 1.3 | 1,52 |
| 22.15 | 404 | დანია-უკრაინა | 1.8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1.27 | 1.81 |
| 22.45 | 405 | ლიბია-არგენტინა | 9.0 | 4.6 | 1,3 | 3,04 | 1.13 | 1.01 |
| 23.00 | 406 | მაროკო-კოტ დივუარი | 1.75 | 3,2 | 4.6 | 1.13 | 1.26 | 1.88 |
| 23.05 | 407 | ჩეხეთი-თურქეთი | 1,85 | 3.2 | 4,0 | 1.17 | 1.26 | 1,77 |
| 23.15 | 408 | ტუნისი-სენეგალი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1.3 | 1.3 | 1.55 |
| 23.15 | 409 | ბელგია-პოლონეთი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 23.15 | 410 | უნგრეთი-ლუქსემბურგი | 1,05 | 8.0 | 25,0 | 1 | 1 | 6.06 |
| | 411 | უნგრეთი-ლუქსემბურგი 0:2 | 1.9 | 5,0 | 2,4 | | | |
| 23.30 | 412 | ჰოლანდია-პორტუგალია | 1,8 | 3,2 | 4.2 | 1.15 | 1.26 | 1.81 |
| 23.30 | 413 | ირლანდია-ნორვეგია | 1.95 | 3,1 | 3.8 | 1.19 | 1.28 | 1.7 |
| 23.40 | 414 | გერმანია-სერბეთი | 1.5 | 3.6 | 6.5 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 23.45 | 415 | შვეიცარია-იტალია | 3,0 | 2,9 | 2.4 | 1.47 | 1.33 | 1.31 |
| 23.45 | 416 | საფრანგეთი-ეგვიპტე | 1.2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 417 | საფრანგეთი-ეგვიპტე 0:1 | 1.55 | 3.4 | 3.6 | | | |
| 24.00 | 418 | შოტლანდია-ავსტრია | 1.95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 00.30 | 419 | ესპანეთი-ეკვადორი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 420 | ესპანეთი-ეკვადორი 0:1 | 1.65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 05.00 | 421 | ჩილე-კოსტა რიკა | 1,65 | 3,4 | 5.0 | 1,11 | 1.24 | 2,02 |
| 06.00 | 422 | მექსიკა-ბრაზილია | 3.6 | 3,1 | 2,0 | 1.66 | 1,28 | 1,21 |
| 06.00 | 423 | პერუ-პარაგვაი | 2.15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1.6 |


სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46
(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან",
ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ
რობაქიძის გამზირი, [illegible] კორპუსი

ბიურომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30 კვირა 12.00–20.30

კოეფიციენტების შესაძლო
ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**NBA PLAY OFF პირველი წრე ოთხ მოგებამდე**

# მყრალი სიმართლე
## პირსის პირში ინდიანა ჩავარდა

### აღმოსავლეთი

25-28 აპრილი

### დეტროიტი 1:3 ორლანდო

#### ორლანდო 89:80 დეტროიტი

**ორლანდო:** ვონი (6), გირიჩეკი (10), მაკგრეიდი (29), გუდენი (15), დეკლერკი; არმსტრონგი (20), ბურ... (5), ჰანტერი (2), კემპი (2), გარიტი, ვიტნი, სასერი
**დეტროიტი:** ბილაფსი (5), ჰამილტონი (22), კარი (6), რობინსონი (12), ვოლესი (8 ქულა, 22 მოხსნა); უილიამსონი (16), ეტკინსი (8), ბერი (3), პრინსი, ოქური

#### ორლანდო 100:92 დეტროიტი

**ორლანდო:** ვონი (2), გირიჩეკი (10), მაკგრეიდი (27), გუდენი (20), დეკლერკი (9); არმსტრონგი (18), გარიტი (5), ვიტნი (5), კემპი (4), სასერი, ჰანტერი
**დეტროიტი:** ბილაფსი (25), ჰამილტონი (5), კარი (4), რობინსონი (14), ვოლესი (12 ქულა, 24 მოხსნა, 7 ჩაჭრა); ბერი (10), ოქური (9), რებრაჩა (8), ეტკინსი (3), უილიამსონი (2)

სანამ „ორლანდო მეჯიკი" მტრის ზურგში დივერსიებს აწყობდა, ორლანდოელი ტრეისი მაკგრეიდი მარტო მოქმედებდა და ორი 40-ქულიანი ნაღდი დაუდო „დეტროიტს" („დეტროიტი" ერთ-ერთზე ავე-თქვა). ხოლო ფრონტმა ორლანდოში რომ გადმოიწია, მაკგრეიდის თანამებრძოლებიც წამოეშველნენ და ყველაფერი ისე გამოუვიდათ, ომის დაწყებამდე ვერც ინატრებდნენ. „ორლანდომ" მოიგო ორივე შინაური მატჩი და სერიაში 3:1 დაწინაურდა. ფლორიდელებს კიდევ ერთი გამარჯვებაც აძლევთ ხელს, რათა აღმოსავლეთის რჩეული გუნდი დაუგეგმავად ადრე გააგდონ პლეი ოფიდან. და თუ „ორლანდომ" ბოლომდე მიიყვანა საქმე — ალბათ მიიყვანს კიდეც — ეს იქნება პირველი ნომრად განთესილი გუნდის პირველივე რაუნდიდან გავარდნის მესამე შემთხვევა ნბა-ს ისტორიაში.

### ნიუ ჯერსი 2:2 მილუოკი

#### მილუოკი 119:114 ნიუ ჯერსი

ძირითადი დრო 100:100

**მილუოკი:** პეიტონი (20 ქულა, 14 პასი), კასელი (21), დ. მეისონი (14), ტომასი (20), პრჟიბილა; კუკოჩი (23), ე. მეისონი (10), რედი (9), ჯონსონი (2)
**ნიუ ჯერსი:** კიდი (15 ქულა, 10 პასი), კიტლზი (4), ჯეფერსონი (28), მარტინი (30), კოლინზი (6); ჰარისი (19), უილიამსი (9), როჯერსი (2), ჯონსონი (1)

„ნიუ ჯერსი" აღმოსავლეთის ყველაზე ძლიერ გუნდად ითვლებოდა, მაგრამ მხოლოდ პლეი ოფის დაწყებამდე. დიდი ქალაქის გარეუბნელებმა ეს რეპუტაცია თავადვე შელახეს, როცა სუსტ „მილუოკის" ოთხ თამაშში ორი გამარჯვება აჩუქეს. მეოთხე თამაშზე ეს ნამდვილად ითქმის. „ნიუ ჯერსიმ" აილო და უძღვნა გამარჯვება „მილუოკის". „მილუოკი" საკმაოდ კარგად ბურთაობდა ბოლო შეხვედრაში, ოღონდ მეოთხე მეოთხედამდე. იქ „ნიუ ჯერსიმ" მახეები დაუგო „ზარირმებს" და 15-ქულიანი უპირატესობა დაათმობინა. მაგრამ რად გინდა, შანსს გამოყენება უნდა, „ნიუ ჯერსიმ" კი ბოლო მეოთხედში 9 საჯარიმო გააფუჭა და შეხვედრა ოვერტაიმში რომ გადავიდა, ამისთვის მადლობაც თქვა. მადლობა წამალით არაა და მით უმეტეს, არც გამარჯვება, სერიის საერთო ანგარიშში რომ ჩაწერო. „მილუოკი" დროულად გამოფხიზლდა და ოვერტაიმი 19:14 მოუგო ძალად ფავორიტს.

### ინდიანა 1:3 ბოსტონი

#### ბოსტონი 102:92 ინდიანა

**ბოსტონი:** დელკი (21), პირსი (37 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), მაკკარტი (13), უოლკერი (17 ქულა, 11 მოხსნა), ბათი (4); უილიამსი (5), ბრემერი (5), ბლუნტი, ლონგი
**ინდიანა:** ტინსლი (11 ქულა, 13 პასი), რ. მილერი (3), არტესტი (9), ონილი (25 ქულა, 19 მოხსნა, 5 დაფარება), ბ. მილერი (21); მერსერი (12), ჰარინგტონი (7), სტრიკლენდი (4), ფოსტერი

ბოსტონელი პოლ პირსი ინდიანაპოლისში ერთი გამარჯვებებითაც კმაყოფილი იყო, შინ ორივეს მოვიგებთო. საკუთარი კოლოსალური შესაძლებლობების რწმენა არც მაშინ გაუნელდა, როცა მეოთხე შეხვედრის პირველი ტაიმი სრულად ჩააფლავა და დიდ შესვენებაზე მხოლოდ 5-ქულიანი მონაგრით გასულმა თანაგუნდელები თუ მხარდამჭერთა არმია გვარიანად შეაშფოთა. მესამე მეოთხედში მან დასაწყისშივე უთხრა პერსონალურ მეურვეს, ინდიანელ ალ ჰარინგტონს — ჰა, დავიწყოთ თუ არაო და დაიწყო. პირსმა ჩააგდო 21 ქულა მესამე 12-წუთეულში. ბოლო ქულები კი მიითვალა 3-ქულიანით, რომელიც მასზე მაღალ ჰარინგტონს თავხედურად გადაავლო ხელებზე. შემდეგ პირსმა ცოტა დაისვენა, მეოთხე მეოთხედის პირველ წუთებში მუხლებს ქარი ამოაღებინა და კიდევ ერთი მძლავრი ზალპი მიუშვა „ინდიანაზე" — ჩააგდო „ბოსტონის" ბოლო 11-ვე ქულა. „აი სულ ესაა საპლეიოფო თამაში" — წაიტრაბახა პირსმა. მას საერთოდ უყვარს თავის ქება და მეტოქეთა აბუჩად აგდება, რის გამოც ბევრი ემდურის, მაგრამ იმასაც ნუ დავუკარგავთ, რომ კალათბურთის თამაში იცის და ცოტა ხეირიანი თანამდგომები რომ ჰყავდეს, (ანტუან უოლკერის გარდა) პლეი ოფის რომელიღაც რაუნდში არ ჩაიკარგებოდა.

### ფილადელფია 3:1 ნიუ ორლეანი

#### ნიუ ორლეანი 99:85 ფილადელფია



ბოსტონელმა პოლ პირსმა „ინდიანას" თამაში და ნიშნი მოუგო

**ნიუ ორლეანი:** დევისი (28), ვესლი (9), ლინჩი (7), ბრაუნი (17 ქულა, 12 მოხსნა), მალუა (18); მოისო (10), ანდერსონი (7), ოგმონი (2), ალექსანდერი (1), ტრეილორი, პეკი
**ფილადელფია:** სნოუ (10), აივერსონი (28), ვან ჰორნი (12), ტომასი (12), კოულმენი (12); მაკი (5), ჰილი (2), ბაკნერი (2), სკინერი (2), სალმონსი, უილიამსი

#### ნიუ ორლეანი 87:96 ფილადელფია

**ნიუ ორლეანი:** დევისი (34), ვესლი (12), ლინჩი (5), ბრაუნი (11), მალუა (7); ალექსანდერი (12), მოისო (4), ანდერსონი (2), ტრეილორი, ოგმონი
**ფილადელფია:** სნოუ (17 ქულა, 12 პასი, 5 ჩაჭრა), აივერსონი (22), ვან ჰორნი (13), ტომასი (11), კოულმენი (11); მაკი (11), უილიამსი (7), ჰილი (4), სკინერი, სალმონსი

შინ წყვილი გამარჯვების შემდეგ ალენ აივერსონის „ფილადელფიამ" ნიუ ორლეანში ორიდან ერთი მოიგო და ერთ გამარჯვებამდე მიუახლოვდა მეორე წრეს, სადაც ბოლო ოთხ პლეი ოფში სამჯერ უთამაშია. სერიის პირველ შეხვედრაში 55 ქულის ჩამგდებ აივერსონს ნიუ ორლეანში სასწაული არ უკისრია, პირიქით, მეოთხე შეხვედრაში მხოლოდ 22 ქულა „შეაკოწიწა", მაგრამ ესეც ეყო „კრაზანების" შეტრუსვას, რადგან მის გარდა კიდევ ხუთმა ფილადელფიელმა გაიტანა 10 და მეტი ქულა. ისე კი „ნიუ ორლეანს" აქვს თავის მართლების საბუთი — ორივე შინაურ თამაშში პირველი მექულე ჯამალ მაშბურნი აკლდა.

### დასავლეთი



მინესოტელი „მგლების" შემმუსვრელი კობი ბრაიანტი

### სან ანტონიო 2:2 ფინიქსი

#### ფინიქსი 86:99 სან ანტონიო

**ფინიქსი:** მარბერი (25), ჰარდევეი (9), მარიონი (18), სტუდემაიერი (17), უილიამსი (4); ვოსკული (10), ჯონსონი (3), ჯეკობსენი, აუთლოო
**სან ანტონიო:** პარკერი (29), ჯექსონი (20), ბოუენი (2), დანკანი (11 ქულა, 23 მოხსნა), რობინსონი (8); როუზი (15), ჯინობილი (12), კლაქსტონი (2), სმიტი, ფერი, ვილისი

#### ფინიქსი 86:84 სან ანტონიო

**ფინიქსი:** მარბერი (18), ჰარდევეი (13), მარიონი (17 ქულა, 14 მოხსნა), სტუდემაიერი (7), უილიამსი (12); ჯონსონი (8), ვოსკული (7), გულიოტა (4), ჯეკობსენი, აუთლოო
**სან ანტონიო:** პარკერი (19), ჯექსონი (2), ბოუენი (19), დანკანი (24 ქულა, 11 მოხსნა), რობინსონი (6); როუზი (10 ქულა, 14 მოხსნა), კლაქსტონი (4), ჯინობილი, ფერი, ვილისი

„სან ანტონიო" გაჭირვებით მიიწევს წინო, ვიტყოდით, მაგრამ სინამდვილეში ვერაფერსაც ვერ მიიწევს. რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდი დასავლურ მეპლეიოფეებში უსუსტეს „ფინიქსთან" სერიაში სიტუაციას სურვილისამებრ ვერ აკონტროლებს, აგერ ორი მოგების წილ ორიც წააგია. არადა, „სან ანტონიოს" უზარმაზარი პოტენციური უპირატესობა აქვს ფარქვეშეთში. მრისხანე ტიმ დანკანი და გამოცდილი დევიდ რობინსონი ნებისმიერ ფარს დაიპყრობდნენ, მაგრამ „ფინიქსთან", რომელსაც ფარქვეშ სულ პირტიტველა ბიჭები უდგას, ეს უპირატესობა თვალში არ გვხვდება და ვერც სერიის ანგარიშში აისახება. პირიქით, ჯეელი ამარე სტუდემაიერი ხშირად ახერხებს დანკანის განიტრალებას, „ფინიქსის" არაფრითგამორჩეული ცენტრი ჯეკ ვოსკული კი მეოთხე თამაშში გამარჯვების ბურთის ჩაგდებით გამოირჩა. „გადამწყვეტი ბურთი არასდროს ჩამიგდია თვით სკოლაშიც კი, ახლა კი ეს როგორღაც თვისით შეემთხვა. ბოლო წამებზე (84:84 ანგარიშზე) პენი ჰარდევეიმ თავისი კაცი რომ მოატყუა, ჩემმა მცველმა მასზე გადაიწია. პენიმაც მე მომცა ბურთი და ჩაგდების გარდა არაფერი დამრჩენოდა" — ყვება ვოსკული.

### საკრამენტო 3:1 იუტა

#### იუტა 107:104 საკრამენტო

**იუტა:** სტოქტონი (15), ჩინი (15), ჰარპრინგი (11), მელოუნი (20 ქულა, 11 მოხსნა), ოსტერტაგი (22 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება); კირილენკო (10), ჯექსონი (8), სტივენსონი (4), მასენბურგი (2)
**საკრამენტო:** ბიბი (23), კრისტი (6), სტოიაკოვიჩი (19), ვებერი (24 ქულა, 11 მოხსნა), დივაცი (6); ჯ. ჯექსონი (9), ბ. ჯექსონი (9), კლერკი (4), პოლარდი (4)

#### იუტა 82:99 საკრამენტო

**იუტა:** სტოქტონი (12), ჩინი (5), ჰარპრინგი (18), მელოუნი (24), ოსტერტაგი (0 ქულა, 14 მოხსნა); კირილენკო (15), ჯექსონი (5), მასენბურგი (2), ამიჩი (1), სტივენსონი, აროიო, პადჯეტი
**საკრამენტო:** ბიბი (11), კრისტი (4), სტოიაკოვიჩი (27), ვებერი (26 ქულა, 11 მოხსნა), დივაცი (6); ჯ. ჯექსონი (10), ბ. ჯექსონი (9), პოლარდი (4), ფანდერბურკი (2), კლერკი, ვოლესი

სუსტ მეტოქეს — „იუტა ჯაზს" გაცილებით იოლად ათვინიერებს სხვა ბობოლა „საკრამენტო კინგზი", რომელსაც მეტოქეზე მეტი ენერგია და ხალისი აქვს. ბებრების „იუტამ" მაინც მოახერხა და ერთი გამარჯვება ასწაპნა მხოლოდ ჩემპიონობის მსურველ „საკრამენტოს", რაშიც ერთ ვეტერანს უნდა უმადლოდეს. აქ არ ვგულისხმობთ არც სტოქტონს და არც მელოუნს, ისინი ისედაც ყოველთვის კარგად თამაშობენ, ამ ჯერზე — სერიის მესამე თამაშში, უჩვეულოდ გამოიღო თავი ხნიერმა ცენტრმა გრეგ ოსტერტაგმა, ვინაც პირწმინდად დაჩაგრა საკრამენტოელი ვლადე დივაცი და ერთბაშად ორი საპლეიოფო რეკორდი დაამყარა — 22 ქულა და 12 მოხსნა. მეოთხე შეხვედრაში საკრამენტოელმა მაღლებმა მეტი ყურადღება დაუთმეს „საიდანღაც გამომტყვრალ" ახმახს და ოსტერტაგმა ეს შეხვედრა 0 ქულით დაასრულა. „იუტამ" კი თამაში 17 ქულით წააგო და 1:3 ჩამორჩა სერიაში.

### დალასი 3:1 პორტლენდი

#### პორტლენდი 103:115 დალასი

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (15), დანიელსი (8), ველსი (15), ვოლესი (11), დევისი (7); პატერსონი (19), საბონისი (16), რენდოლფი (8), მაკინისი (2), ვუდსი (2)
**დალასი:** ნეში (12 ქულა, 10 პასი), ფინლი (10), ნოვიცკი (42 ქულა, 10 მოხსნა), ლაფრენცი (20), ბრედლი (4); ვან ექსელი (14), ნახერა (11), გრიფინი (2)

#### პორტლენდი 98:79 დალასი

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (17 ქულა, 11 პასი), ველსი (16), ვოლესი (23), რენდოლფი (25 ქულა, 15 მოხსნა), დევისი (12); პატერსონი (4), ვუდსი (1), დანიელსი, მაკინისი
**დალასი:** ნეში, ფინლი (7), ნოვიცკი (26 ქულა, 11 მოხსნა), ლაფრენცი (4), ბრედლი (6); ვან ექსელი (18), ნახერა (7), აბდულ-ვაჰადი (4), უილიამსი (3), ბელი (2), გრიფინი (2), ეშმეიერი

პორტლენდმა კიდევ ერთი საპლეიოფო სეზონი ჩააგდო, ზედიზედ მესამე. დაიკარგა კიდევ 12 თვე და ათეულობით მილიონი დოლარი, რაც არამად შეიტყაპუნეს „პორტლენდის" „ვარსკვლავებმა" მეფურ ხელფასად. „დალასმა", რომელიც იდეალური გუნდი არ გახლავთ, ზედიზედ სამი გამარჯვება აართვა ამპარტავან მეტოქეს. განსაკუთრებით მესამე იყო საწყენი, რაკი „პორტლენდი" შინ თამაშობდა. ამ შეხვედრაში, რომელშიც „პორტლენდი" პლეი ოფში ზედიზედ 10-ედ დაეცა, დალასელმა დირკ ნოვიცკიმ ისევ დაიქუხა და 42 ქულა აძგერა მეტოქეს. ნოვიცკი გაოცებული იყო, ნამატჩევს ამბობდა, მეგონა, მეტოქემ იცოდა ჩემი შესაძლებლობები, მაგრამ თურმე ვცდებოდი. ისე ხშირად ვრჩებოდი მარტო სასროლ პოზიციაში, რომ ერთხანს ვიფიქრე, მეტოქე დამცინოდა და არად მაგდებდაო „ნოვიცკი ერთადერთი არაა, ვინც ჩვენი დაცვის გულგრილობამ განაცვიფრა — ამბობს „პორტლენდის" თავკაცი მორის ჩიკსი — მეც გაოცებული ვარ."

მომდევნო თამაშში „პორტლენდმა" როგორც იქნა, გატეხა ნავსი და 2000 წელს დასავლეთის ფინალში „ლეიკერსის" დამარცხების შემდეგ პირველად იმარჯვა საპლეიოფო თამაშში, მაგრამ რა ხეირი, საქმე უკვე წახდენილია.

### მინესოტა 2:2 ლეიკერსი

#### ლეიკერსი 102:97 მინესოტა

**ლეიკერსი:** ფიშერი (5), ბრაიანტი (32), ფოქსი, ჰორი (6), ონილი (34 ქულა, 23 მოხსნა, 6 პასი); შოუ (10), ჯორჯი (9), მადსენი (4), უოლკერი (2), პარგო
**მინესოტა:** ჰადსონი (28), პილერი (8), შჩერბიაკი (15), გარნეტი (28 ქულა, 18 მოხსნა), ნესტეროვიჩი (2); სტრიკლენდი (6), გილი (4), ტრენტი (4), ჯექსონი (2), სმიტი

„მინესოტას" სულ ცოტა დააკლდა ჩემპიონი „ლეიკერსის" მესამედ დასამარცხებლად. „მგლები" მეორე ლოსანჯელესურ თამაშსაც უგებდნენ შაკილ ონილის და კობი ბრაიანტის გუნდს, მაგრამ ბოლო მეოთხედის ერთი, საკმაოდ გრძელი მონაკვეთი პირწმინდად ჩააგდეს და როგორღაც ძალიან იოლად დათმეს თამაში, სერიაში ანგარიში გათანაბრდა და „ლეიკერსს" ახალი ტაიმაუტი მიეცა გონზე მოსასვლელად და მეტოქის იქით დასანოკაუტებლად.

**ქოტე ყორშია**

*თბილისში სააღდგომოდ ჩამოსული ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ბრუნო გრანდი, ამავე ორგანიზაციის გენერალური მდივანი ნორბერტ ბუშე და საპატიო გენერალური მდივანი ანდრე გისბიულერი მასპინძელთა პატივისცემით ფრიად აღფრთოვანებულნი იყვნენ. ამბობდნენ, გაისადაც ჩამოვალთ, ოღონდ იმ პირობით, რომ ასე აღარ გადაგვყვებითო*

# გრანდმა გვაქო

## ქართველები ოლიმპიური ჩემპიონები ხართ! მასპინძლობაში

ბრუნო გრანდის ამ ვიზიტს სხვა მრავალთან ერთად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მედალიც გაახსენებს. ამ მედლით იტალიელი სტუმარი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა თავის შტაბ-ბინაში, შეიძლება ითქვას, ავანსად დააჯილდოვა.

სხვათა შორის, საქართველოში ბრუნო გრანდის დონის სპორტული მოხელის ვიზიტი მეტად იშვიათი შემთხვევაა. პირველი ასეთი სტუმარი ოდესღაც იყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ჟოაო აველანჟის სტუმრობა, მეორე კი გახლდათ ბრუნო გრანდის თანამემამულის, ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ოტავიო ჩინკვანტას შარშანწინდელი ვიზიტი, მესამე კი თავად ბრუნო გრანდის ეს სააღდგომო ჩამობრძანება გახლავთ.

ბრუნო გრანდის საქართველოთი დაინტერესება გარკვეულწილად განაპირობა ჩვენმა ოლინდელმა წარმატებებმა არა მხოლოდ საკუთრივ სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, არამედ ბატუტზე ხტომაში, რასაც ტანვარჯიშის ფედერაცია თავის რიგებში აერთიანებს. გავიხსენოთ, რომ მედეა ჯუღელი და გალინა შარაბიძე არიან ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები.

მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენ სერგო ჯაიანი, რუსუდან სიხარულიძე, ანა დოლონაძე და რუსუდან ხოფერია, რომელიც ახლა ათენის ოლიმპიური თამაშებისთვისაც ემზადება, მანამდე კი ხოფერია სიხარულიძესთან და ჯუღელთან ერთად იტალიელ სტუმარს მასპინძლობასაც უწევდა.

თქვენ ოლიმპიური ოქროს მედალი სტუმრის მიღებაშიც გეკუთვნითო, შინ გამგზავრებამდე ნახევრად ხუმრობით თქვა ბრუნო გრანდიმ და იქვე კიდევ ერთხელ დასძინა, სპორტულ სარბიელზე ამგვარი ჯილდოს მოსაპოვებლად ხელს შეგიწყობთო.

ხელშეწყობაში მსოფლიოს ტანვარჯიშული სამწყსოს მეთაური, ცხადია, მსაჯთა ბრიგადაში რაღაც ხრიკებს, მაქინაციებს, საქმის გაჩარხვა-ჩაწყობასა და სხვა მისთანებს სულაც არ გულისხმობდა.

— ჩვენ აქ თქვენი ტანმოვარჯიშეების პრობლემების შესასწავლად ჩამოვედით — გვეუბნება ბრუნო გრანდი — ოლიმპიურ კომიტეტში მოსვლამდე შევხვდით საქართველოს პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის ხელმძღვანელობას, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილს, ჩვენს მთავარ მასპინძელს, ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტ ომარ ლონლაძეს, დავათვალიერეთ ტანვარჯიშული სპორტსკოლები. რა თქმა უნდა, ვიცოდით, სადაც მოვდიოდით, ვიცოდით თქვენი ძველი მიღწევების შესახებ, ვიცოდით თქვენი დღევანდელი გაჭირვების ამბავიც, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახი მაინც მოლოდინზე უარესი აღმოჩნდა. გული დამიმძიმდა უბადრუკი ტანვარჯიშული ინვენტარის ხილვისას. გული მომიკვდა ცივი დარბაზების ნახვითაც. ასეთ სიცივეში ვარჯიში შეუძლებელია. გარდა იმისა, რომ გაციება იოლად შეიძლება, ასეთ ტემპერატურაში ტანმოვარჯიშის დაშავების საშიშროებაც იზრდება. აქედან გამომდინარე, საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია სასწაულებს სჩადის. ამიტომაც, ახლა, როცა საკუთარი თვალით ვიხილეთ ყველაფერი, გადავწყვიტეთ თანამედროვე ინვენტარით დაგეხმაროთ. ჩვენ პირდაპირ მათი დამამზადებელი ფაბრიკა-ქარხნებიდან შევისყიდით ყველაფერს და საჩუქრად წლეულსვე გამოგიგზავნით: ოღონდ ჩვენს დახმარებასთან ერთად თქვენმა ხელისუფლებამაც უნდა მოგხედოთ.

ბრუნო გრანდი ამას რომ ამბობდა, გულისხმობდა საჩუქრის განბაჟების პრობლემასაც, რომელსაც უცხოელთა საჩუქარში ქართველებს საკმაოდ სოლიდურ თანხას სთხოვენ, რისი გადახდის შესაძლებლობაც მათ არა აქვთ. ბრუნო გრანდი იმასაც გულისხმობდა, რომ ტანვარჯიშულ დარბაზებში გათბობის საქმე ჩვენივე მოსაგვარებელია.

— გაისად რომ ჩამოვალთ, შევაფასებთ საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის მიერ გაწეულ სამუშაოს. ვნახავთ იმასაც, თუ რა დახმარება აღმოგიჩინათ ხელისუფლებამ. თუ მათი მხრიდან ხელშეწყობაში დავრწმუნდებით, ჩვენც მეტად დაგეხმარებით.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



## NHL სტენლის თასი. მეორე წრე

### ოთხ მოგებამდე

# კვატასტროფა

25-28 აპრილი

## აღმოსავლეთი

### ნიუ ჯერსი 2:1 ტამპა

**ნიუ ჯერსი 3:2 ტამპა** *0:1 1:1 1:0 1:0*

**0:1 დინგმანი (13), 1:1 რაფალსკი (40), 1:2 სან ლუი (40), 2:2 მარშალი (51), 3:2 ლანგენბრუნერი (63)**

**ტამპა 4:3 ნიუ ჯერსი** *3:0 0:3 1:0*

**1:0 პროსპალი (5), 2:0 სან ლუი (10), 3:0 მოდინი (17), 3:1 მედენი (27), 3:2 მარშალი (28), 3:3 ფრიზენი (36), 4:3 ანდრეიჩუკი (47)**

თუ ტამპას მრისხანე ნიუ ჯერსის დამარცხებასურს, სულ მცირე უპირატესობაც კი კბილებით უნდა დაიცვას. ამ აქსიომის დავიწყება არ ეგების. სერიის მეორე თამაშში „ელვები" სჯობნენ მეტოქეს, ორჯერ დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდათ. ესეც არაფერი, მომდევნო შეხვედრის პირველ მესამედში ტამპელებმა 3 უპასუხო გოლი გაიტანეს. ნებისმიერი სხვა, უფრო გამოცდილი გუნდი ასეთ უპირატესობას შეინარჩუნებდა, მაგრამ „ელვებს" ხომ ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სასწავლი და კინაღამ ახლაც ყველაფერი ქარს გაატანეს. ნიუ ჯერსიმ მეორე პერიოდში სამივე შაიბა გაქვითა და მეოთხეც რომ შეეგდო, რაღა ეშველებოდა ტამპას. ბოლო მესამედში ხუთეულების ცვლილებისას კი ნიუ ჯერსის როგორღაც ყინულზე მხოლოდ ერთი მცველი აღმოაჩნდა და ამით ვეტერანმა ტამპელმა დეივ ანდრეიჩუკმა ისარგებლა.

### ოტავა 1:1 ფილადელფია

**ოტავა 4:2 ფილადელფია** *0:2 3:0 1:0*

**0:1 ამონტე (2), 0:2 კაპანენი (11), 1:2 ჰავლატი (23), 2:2 ჰოსა (26), 3:2 ალფრედსონი (30), 4:2 ხარა (52)**

**ოტავა 0:2 ფილადელფია** *0:1 0:0 0:1*

**0:1 განიე (7), 0:2 რეკი (54)**

ოტავას ცეცხლთან თამაში ძვირად დაუჯდა. კანადელებმა პირველ მატჩში შეძლეს ორშაიბიანი დეფიციტის აღმოფხვრა და იმარჯვეს კიდეც, მაგრამ მეორე შეხვედრაში მეტოქეს წინ გასვლის შანსი კვლავ უბოძეს და ამან დაღუპა ისინი. ტორონტომ მერე ძალიანაც მოიწადინა, მაგრამ ფილადელფიელთა მეკარემ რომან ჩეხმანეკმა საუცხოოდ ითამაშა, ერით-ორჯერ მხოლოდ საკუთარი გაბარიტების წყალობით იხსნა კარი. მერე ფილადელფიელებმა ბოლო მესამედში კიდევ ერთხელ გამოიჭირეს მეტოქე და ამ გამარჯვებით ორი საშინაო მატჩის წინ მეტოქეს ფავორიტობა ჩამოართვეს.

## დასავლეთი

### დალასი 1:2 ანაჰაიმი

**დალასი 2:3 ანაჰაიმი** *1:1 1:0 0:1 0:1*

**0:1 ოუთსი (11), 1:1 მოროუ (20), 2:1 მოდანო (24), 2:2 ნიდერმაიერი (59), 2:3 ლეკლერკი (62)**

**ანაჰაიმი 1:2 დალასი** *1:1 0:1 0:0*

**0:1 ლეჰტინენი (3), 1:1 რუჩინი (17), 1:2 ლეჰტინენი (24)**

სენსაცია მოხდა — ანაჰაიმმა, როგორც იქნა წაიგო. პლეი ოფის წინ ვინ იფიქრებდა, რომ „იხვების" დამარცხება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. ეს კინაღამ დალასელებმაც ჩაიბეჭდეს თავში. ანაჰაიმელი რობ ნიდერმაიერის შემთხვევითმა შაიბამ თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა და მისმა გუნდმა იქ იმარჯვა. ცოტაც და დალასი დეტროიტის ბედს გაიზიარებდა, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში ტეხასელებმა, როგორც იქნა, გატეხეს ნავსი. ბედის ირონიით, ეს მათი უცუდესი თამაში იყო პლეი ოფში (ყოველ შემთხვევაში, დალასელთა აზრით), მაგრამ იესე ლეჰტინენის ძალისხმევით მოპოვებული უპირატესობა რის ვაი-ვაგლახით შეინარჩუნეს და სერიას ინტრიგა დაუბრუნეს.

### ვანკუვერი 1:1 მინესოტა

**ვანკუვერი 4:3 მინესოტა** *0:1 1:0 2:2 1:0*

**0:1 ჟოლტოკი (18), 1:1 ჟოვანოვსკი (22), 1:2 უოლცი (43), 1:3 უოლცი (49), 2:3 ნესლუნდი (52), 3:3 კუკი (60), 3:4 კლეტი (64)**

**ვანკუვერი 2:3 მინესოტა** *0:0 1:1 1:2*

**0:1 გაბორიკი (26), 1:1 ჟოვანოვსკი (38), 1:2 ჟოლტოკი (42), 1:3 უოლცი (43), 2:3 ოლუნდი (58)**

წესით და რიგით, ამ სერიაში მინესოტა უნდა დაწინაურებულიყო. პირველ მატჩში სტუმრები სულ წინ იყვნენ, სიტუაციას თითქმის ბოლომდე აკონტროლებდნენ, მაგრამ ძირითადი დროის დასრულებამდე 1 წამით (!) ადრე ვანკუვერელმა მეტ კუკმა გაათანაბრა, ოვერტაიმში კი მისმა გუნდმა იხეირა. ეს სიუჟეტი მეორე თამაშში განმეორდა (გოლებიც თითქმის იგივე მოთამაშეებმა გაიტანეს), მაგრამ ამჯერად მინესოტელებმა მეტოქეს უფლებები შეუზღუდეს.

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი

26 აპრილი - 11 მაისი

# ევროპამ უდღეურ ამერიკას ყველი და კარაქი აჭამა



ამერიკა საშვილიშვილოდ შერცხვა

| A ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|
| გერმანია 5:4 იაპონია | კანადა 3:0 ბელარუსი |
| სლოვაკეთი 9:3 უკრაინა | შვედეთი 3:1 ლატვია |
| სლოვაკეთი 10:1 იაპონია | კანადა 6:1 ლატვია |
| | შვედეთი 2:1 ბელარუსი |
| **B ჯგუფი** | **D ჯგუფი** |
| აშშ 2:5 დანია | ჩეხეთი 5:2 სლოვენია |
| რუსეთი 5:2 შვეიცარია | ავსტრია 1:5 ფინეთი |
| აშშ 0:1 შვეიცარია | ფინეთი 12:0 სლოვენია |
| რუსეთი 6:1 დანია | ჩეხეთი 8:1 ავსტრია |

კრის ჩელიოსი ბედსა თუ საკუთარ ინტუიციას უნდა უმადლოდეს, კარიერის ბოლოს სირცხვილი რომ არ ჭამა. დეტროიტის სახელოვან მცველს ბევრი წარმატებაც უხილავს და იმედგაცრუებაც (თუნდაც სულ ორიოდ დღის წინ ანაჰაიმთან სერიაში 0:4 მარცხი რად ღირს), მაგრამ ასეთი კოშმარი? ჩელიოსმა ბოლო მომენტში გადაიფიქრა ფინეთში გამგზავრება და აშშ-ს ასეთი დამცირების უშუალო მონაწილე არ შეიქნა. აბა, მარტო რას უშველიდა თავის თანამემამულეებს?! მართალია, აშშ-ს ნაკრებში უმეტესად მეორეხარისხოვანმა ნჰლ-ელებმა და ევროპაში მოთამაშეებმა მოიყარეს თავი, მაგრამ ეს გუნდი საბრძოლო შემართებით მაინც გამოირჩეოდა, უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტ დანიის ნაკრებთან პირველივე თამაშში კი ეს ყველაფერი სადღაც გაქრა... ისინი დამსახურებ-ელად დამარცხდნენ. დანიელებმა პირველივე პერიოდში მოიპოვეს 3-შაიბიანი უპირატესობა და მეტოქეს გასაქანი არ მისცეს. „ჩვენ კი არ წავაგეთ, დანიელებმა მოგვიგეს. მათ ყველაფერში გვაჯობეს, დიდი შთაგონება გამოიჩინეს. ახლა მეცოდინება, რომ დანიაში ჰოკეის თამაშობენ, თორემ აქამდე მეგონა, რომ ამ ქვეყანაში მხოლოდ მსოფლიოში საუკეთესო კარაქს ამზადებდნენ" — აშშ-ს თავკაც ლუ ვაირს ასეთი მარცხის შემდეგაც შერჩა ანეკდოტის ხალისი. თუმც ეს ხალისი მან მეორე დღესვე დაკარგა — მისი გუნდი შვეიცარიის წინააღმდეგაც უაზროდ და უდისციპლინოდ თამაშობდა. მეკარე რაიან მილერის უხეშმა შეცდომამ ხომ მთლად მოუთავა ხელი. რუსეთი — დანიის მატჩის შემდეგ კი ნათელი გახდა, რომ ჩემპიონატის მე-2 ეტაპზე აშშ მხოლოდ უმაღლეს დივიზიონში დარჩენისთვის იბრძოლებს ანუ მე-13-16 ადგილებისთვის. აქამდე ამერიკელთა ანტირეკორდი მე-12 ადგილი იყო...

უნდა გენახათ, რა გახარებულები იყვნენ ბელარუსთან გამარჯვების შემდეგ შვედები. 2002 წლის ოლიმპიადაზე ხომ „ვიკინგებმა" ამ გუნდთან მეოთხედფინალში სენსაციური კრახი განიცადეს. ცხადია ისინი შურისძიებით იყვნენ ანთებულნი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მათ რიგებში პეტერ ფორსბერგიც გამოჩნდა, ძლივს აიღეს რევანში. იორგენ იუნსონმა გადამწყვეტი გოლი 55-ე წუთზე გაიტანა.

**სამველ ლარიბიანი**

ბომბარდირები: *პალფი (სლოვაკეთი) 9(5+4), შტუმპელი (სლოვაკეთი) 7(2+5), ზედნიკი (სლოვაკეთი) 5(4+1), სელიანე (ფინეთი) 5(3+2), კოივუ (ფინეთი) და ვისნოვსკი (სლოვაკეთი) 5(1+4)*



# ანდრეტი მამაშვილურად დაიმტვრა



**მარიო ანდრეტის დრო აერია, 64 წლის კაცმა თავი ისევ ახალგაზრდად წარმოიდგინა, ბოლოდში ჩაჯდა და... დაიმტვრა**

**ამერიკელთათვის** სათაყვანებელ ინდიანაპოლისის 500-მილიან ზემარათონამდე სამ კვირაზე მეტია. ამდენად, ლეგენდარულ „ოვალზე" კიდევ ერთხელ გაჯირითების მსურველ 64 წლის მარიო ანდრეტის სავარჯიშოდ და ძველის აღსადგენად დრო საკმაოდ კი ჰქონდა, მაგრამ პირველივე ცდის მერე ამ სარისკო განზრახვაზე ხელი აიღო.

ამერიკელი ექსპილოტი, რომელმაც „ინდი 500" 34 წლის წინ მოიგო, ხოლო 1978 წელს ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონობაც მოიპოვა, თითქმის ათი წელია, შეჯიბრებებში აღარ მონაწილეობს, თუმც მაინც გადაწყვიტა, თავის ვაჟიშვილს, ცნობილ მრბოლსა და საკუთარი გუნდის მფლობელ მაიკლს დახმარებოდა. საქმე ისაა, რომ უმცროს ანდრეტის ორივე პილოტი დაშავებულია — ბრაზილიელმა ტონი კანაანმა მაჯა მოიტეხა, ხოლო შოტლანდიელი დარიო ფრანკიტი ზურგის ტრავმის გამო კარგა ხანს ვერ მიუჯდება საჭეს. ჰოდა, მოხუციც შვილის წინადადებას დათანხმდა და გადაწყვიტა, საკვალიფიკაციო ბრძოლაში ჩაბმულიყო, მაგრამ ავანტიურა მალე დასრულდა — პირველივე ვარჯიშისას მისი ბოლიდი ტრასაზე მდგარ შველი კენი ბრაკისას შეასკდა და ჰაერში აფრინდა. საბედნიეროდ, რამდენჯერმე ამოყირავებული მანქანა ბორბლებზე დაეცა და ანდრეტიც სასწაულებრივად, უვნებლად გადარჩა, თუმც ამან მისი ასაკისთვის მეტად სახიფათო ნაბიჯი მაინც გადააფიქრებინა: „ავტოსპორტში კარიერას რომ ვაგრძელებდე, ავარია ვერ შემაშინებდა, მაგრამ რაკი დიდი ხანია, აღარ გამოვდივარ, ეს ფათერაკი ჩემთვის თავისებური ნიშანია. დროა, გულისთქმას აღარ ავყვე".

ამრიგად, ხელშეუხებელი დარჩა ეი ჯეი ფოიტის უნიკალური რეკორდი — ლეგენდარულმა ამერიკელმა მრბოლმა „ინდი 500"-ის საკვალიფიკაციო ბარიერი 57 წლის ასაკში დაძლია.

# საღ ლეს, ანდრანიკ!
## ქრისტეს ასაკის უსტაბაში



აშშ-ის თიხნარპირველობა
ჰიუსტონი
საპრიზო 380 ათასი $

**მეოთხედფინალი**

ანდრე აგასი (1, აშშ) — რიკარდუ მელუ (ბრაზილია) 6:0, 6:1; ენდი როდიკი (2, აშშ) — ფერნანდუ მელიგენი (ბრაზილია) 6:3, 4:6, 6:4; ოლივიე მუტი (საფრანგეთი) — ჯეიმს ბლეიკი (3, აშშ) 6:4, 6:7 (3:7), 6:1; იურგენ მელცერი (გერმანია) — მერდი ფიში (აშშ) 7:5, 2:6, 7:5

**ნახევარფინალი**

აგასი — მელცერი 6:4, 6:1; როდიკი — მუტი 4:6, 6:1, 6:2

**ფინალი**

აგასი — როდიკი 3:6, 6:3, 6:4

აგასიანთ ოჯახში გუშინ ჰარი-ჰარალო და დიმპიტაური იყო. გენიალური არმენოამერიკელი — და ამგვარი ეპითეტისა გასული უქმეების შემდეგ დასტურ აღარ მოგვერიდება — ქრისტეს ასაკის მოიყარა და შტეფი გრაფის მიერ გამოცხობილ ტორტზე 33 სანთელი ჩააქრო.

შაბაშ და საღ ლეს, ანდრანიკ!!

ჯადო მეჩოგნემ ჰიუსტონურ თიხნარზე კარიერის 58-ე ტიტული მოიხვეჭა და ყველა დროის ყველაზე მეტჯერ მეტიტულეთა ჩამონათვალში მეშვიდე ადგილი გაიპიროვნა.

სათქმელია ისიც, რომ წლეულს მან 24 შეხვედრა გამართა და აქედან მხოლოდ ერთი დათმო. ოცდასამი გამარჯვების წყალობით კი მას საამსეზონოდ უკვე ოთხი ტიტული მოუქუჩდა — მელბურნში ავსტრალიის ღია პირველობის მოგებისა და კარიერის მერვე სლემჯილდოს მითვლის შემდეგ მისმა უგონიერესობამა და უნატიფესობამ ჰიუსტონამდე სან ხოსესა და მაიამის მაგარსაფრებიც დაიონავრა.

მაგრამ ყველაზე მთავარი ალბათ ის არის, რომ ნახევარფინალში გერმანელი იურგენ მელცერის შემუსვრამ ანდრე აგასი გახადა უმხცოვანესი მეჩოგნე იმათ შორის, ვისაც კი ოდესმე ამქრის სიაში გაპირველება მოჰხერხებია. აქამომდელი რეკორდი ლეგენდარულ ჯიმი კონორსს ეპყრა — 1983 წლის 13 ივნისს, როცა ის რეიტინგსიას კენწეროში მოექცა, 30 წლისა და 10 თვის იყო.

აგასიმდე მოპირველე ლეიტონ ჰიუიტმა კაცთა ამქრის უსტაბაშობას ზედიზედ 75 კვირის განმავლობაში გაუძლო. პირველმეჩოგნეობა კისკას ოზბიჭს ვინძლო უფრო მეტხანსაც შეენარჩუნებინა, მაგრამ მას აქამდეც არა ერთხელ უთქვამს, რომ თავადის სტატუსს ჯანმრთელობა და უფრო ხალვათი წლიური განრიგი ურჩევნია, ბოლო დროს ეიტიპელ მამებთან გართულებული ურთიერთობების გამო კი ბოლო თვის განმავლობაში სულაც ალარსად უჩოგნავია.

ჰო, მართლა — ბოლოჯერ აგასი რეიტინგსიის სათავეში 2000 წლის პირველ სექტემბერს იდგა. სულ კი თავისი ბრწყინვალე კარიერის განმავლობაში იმ ალაგას მას 87 კვირა გაუტარებია, 199 კვირით ნაკლები უმთავრეს რაყიფთან და დოსტთან, 14-გზის სლემტიტულოსან პიტ სამპრასთან შედარებით.

**OPEN SEAT GODO 2003**
**ბარსელონა. თიხნარი**
**საპრიზო 1 მილიონი ევრო**

**მეოთხედფინალი**

ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — გუსტავო კუერტენი (7, ბრაზილია) 6:4, 6:4; კარლოს მოია (2, ესპანეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:3, 6:4; მარატ საფინი (4, რუსეთი) — გასტონ გაუდიო (10, არგენტინა) 6:4, 4:6, 7:5; აგუსტინ კალერი (16, არგენტინა) — ტომი რობრედო (12, ესპანეთი) 6:7 (1:7), 6:4, 6:4

**ნახევარფინალი**

საფინი — ფერერო 6:4, 6:3; მოია — კალერი 7:6 (7:2), 6:2

**ფინალი**

მოია — საფინი 5:7, 6:2, 6:2

26 წლის ქარიზმატულ მალიორკელ კარლოს მოიას აქამდე 12 ტიტული მოეხვეჭა, ერთხელ — 1998 წელს როლანგაროსულ სეფეთიხნარზეც ემარჯვა, ხოლო 1999 წლის მარტის ერთ ორკვირიან მონაკვეთში კაცთა ამქრის პირველჩოგნოსანიც ყოფილა. მაგრამ მთელი ამ გოროზი სტატისტიკის მიუხედავად, დახვეწილმა და არასწორხაზოვანმა მეთიხნარემ ერთხელაც ვერ შეძლო, ესპანურ ნიადაგზე ეჩემპიონა.

ამიერიდან ეს ნავსი გატეხილია — მოიამ კარიერის მე-13, სეზონის მე-2 ტიტული მოირეწა და ახლა ისეთ ჩაუქ ფორმაშია, რომ წლევანდელი როლანგაროსობის ერთ უმთავრეს ფავორიტად არის მისაჩნევი.

ბარსელონურმა ხეირმა მოია ჩემპიონთა რბოლაში მეხუთედან მეორე ადგილზე ალაზევა, ხოლო 12-თვიან მგორავ რეიტინგსიაში ის მხოლოდ ანდრე აგასის, ლეიტონ ჰიუიტსა და ხუან კარლოს ფერეროს ჩამორჩება.

**ლევან ძელაურაძე**

ფედერაციის თასი 2003

# ჩეხეთს ამერიკული შავკარგი მეწარა



დებმა უილიამსებმა ხალხს ჯენიფერ კაპრიატის ჩხუბი დაავიწყეს

**პირველი წრე**

აშშ 5:0 ჩეხეთი
არგენტინა 2:3 სლოვენია
იტალია 3:2 შვედეთი
ბელგია 5:0 ავსტრია
გერმანია 2:3 სლოვაკეთი
რუსეთი 4:1 ხორვატია
ესპანეთი 3:2 ავსტრალია
საფრანგეთი 5:0 კოლუმბია

როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკელთა კაპიტნის, დიადი ბილი ჯინ კინგის მიერ საჩეხეთოდ წვეულმა შავლებმა — ვინუს და სერენა უილიამსებმა თავიანთ ჩეხ კოლეგებს მასაჩუსეტსურ ლაუელში საშინელი დახვედრა მოუწყვეს. ქალთა პირველმეჩოგნე სერენამ კენტად ივეტა ბენეშოვასა (7:5, 6:1) და კლარა კუკალოვას (6:2, 6:2) სძლია, ვინუსი კი დაია ბედანოვასა (6:1, 6:0) და იმავ ბენეშოვას (6:3, 6:2) გაუსწორდა. სულ ბოლოს კი დები შეჯუფდნენ და კუკალოვა-ბირნეროვას წყვილს 6:0, 6:1 მოუგეს.

ამერიკელ ქალებს ფედთასი 17-ჯერ მოუგიათ, მაგრამ შარშან პირველსავე წრეში ავსტრიელებთან შერცხვნენ და მძიმე შავდა-არტილერიის მოხმობაც სწორედ ამგვარი სირცხვილისგან დაზღვეულობის სურვილმა განაპირობა. ვინუსმა და სერენამ სამშობლო 1999 წელს ასახელეს, მაგრამ მას შემდეგ ნაკრებში ერთხელაც არ გამოსულან და ბილი ჯინ კინგი ძირითადად ჯენი კაპრიატის იმედზე იყო. შარშან ჯენიმ და ბილიმ ერთმანეთს დასცხეს და ამერიკელთა უნებლიე ჩაფლავებაც სწორედ ჯენის ნაკრებიდან მოკვეთის გამო მოხდა.

ერთი სიტყვით — შავდები კვლავ ნაკრებში არიან და მათ შეჩერებას აწი მხოლოდ ბელგიელები — რეიტინგსიის მეორმეჩოგნე კიმ კლაისტერსი და მეოთხემეჩოგნე ჟუსტინ ენენ-არდენი თუ შეეცდებიან. კიმმა და ჟუსტინმა იმ დღეს ავსტრიელები ისტუმრეს და ასევე 5:0-იანად გადაურეს.

სხვაფრივ — შარშანდელი ჩემპიონი სლოვაკები ეტენჰაიმში გერმანელებს ჩაუვიდნენ და რომ არა მათი სექსფეხება დეკეული, დანიელა ჰანტუხოვა, ბითურად ჩაიფლავებდნენ კიდეც. მაგრამ დანიელამ დოიჩთა ორივე მთავარგოგოს — მარლენ ვაინგარტნერსა (2:6, 7:6, 7:5) და ანკა ბარნასაც (2:6, 6:3, 6:1) აჯობა და თავისიანებს რიგიანი განწყობა დაუკვება. მის მიერ კაცურად დაწყებული საქმე ჰ ალალად გაასრულა ლუდმილა ჩერვანოვამ, ვინაც იმავ ვაინგარტნერს 6:2, 6:1 მოუგო.

არგენტინელები შინ 2:3 იძლივნენ სლოვენთაგან და ეს არ გაგიკვირდეთ — მათგან ძალზედ უსახელოთ (ემილია სალერნი, ნატალია გარბელოტი) გამოცდილი სლოვენები (ტინა პისნიკი, კატარინა სრებოტნიკი) იოლად მოერივნენ.

დანარჩენი წყვილებიდან რუსებმა (ანასტასია მისკინა, ელენა დემენტიევა) ხორვატები (ივა მაიოლი, კაროლინა სპრემი) დაჩაგრეს, ხოლო ფრანგებმა (ნატალი დეში, ამელი მორესმო) — კოლუმბიელები.

იტალიელთა და შვედთა ლინკოპინგური რკენის ბედი იტალიელთა წყვილის (პენეტა-ვინჩის) მიერ მასპინძელთა ჯუფთის (არვიდსონი-ვოლფბრანდის) რბევამ გადაწყვიტა. ესპანელთა და ავსტრალიელთა ამბავი კი წყვილებამდე გაირკვა — ბომბორა მაგი სერნამა და ბებერმა კონჩიტა მარტინესმა ჯამში ნიკოლ პრატსა და ალისია მოლიკს აჯობეს.

**ლევან ძელაურაძე**

ფეხბურთი

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
შეფილდ იუნ. 3:0 ბრედფორდი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
ტრანმერი 3:1 მენსფილდი

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**
ლეიტონი 0:1 რეძსემი
როჩდეილი 2:1 ჰალი
შრიუსბერი 2:3 კარლაილი

### ამხანაგური მატჩი

ფარერები 2:1 ყაზახეთი

### გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**XXVIII ტური**
ვერდერი (მ) 1:2 კიოლნი (მ)
დორტმუნდი (მ) 1:1 ესენი
კილი 1:1 ჰამბურგი (მ)
ოსნაბრიუკი 5:1 ქემნიცი
იურდინგენი 2:1 დინამო

### შოტლანდია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
ეარი 1:0 ინვერნესი

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

**შესარჩევი ეტაპი**

**I ჯგუფი**
მალტა 0:0 სლოვენია

**IV ჯგუფი**
ლატვია 4:1 სან მარინო

### რუსეთი

**ლიგის თასი**
**1/2 ფინალი. პირველი მატჩი**
ტორ. მეტალურგი 1:0 ტორპედო
ზენიტი 1:0 სპარტაკი

რაგბი



რაგბის საერთაშორისო საბჭოს ვერნონ პიუ გარდაიცვალა

# რაგბიმ რა კაცი დაკარგა

**რაგბის** საერთაშორისო საბჭოს (IRB) გავლენიანი და მარიფათიანი თავმჯდომარე, უელსელი ვერნონ პიუ მართლმადიდებლური აღდგომის წინა დღეს გულის შეტევით აღესრულა.

პროფესიით ვექილი ვერნონ პიუ 1998 წლიდან თავკაცობდა IRB-ის და სწორედ მისი ძალისხმევით განიცადა რაგბიმ ყველაზე დიდი პროგრესი.

პიუს ინიციატივით გაპროფესიულდა რაგბი. მისი თაოსნობით დაარსდა ევროპის ისეთი საკლუბო ტურნირები, როგორებიცაა „ჰეინეკენესი თასი" და „ევროპის ფარი". პირველი, ასე ვთქვათ, სარაგბო ჩემპიონთა ლიგაა, მეორე კი უეფას თასი. გარდა ამისა, პიუმ პირველმა მოაწყო შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერია, რომელიც დღეს ერთ-ერთ ყველაზე სარფიან და სალაღობო ტურნირად ითვლება.

მორაგბეობისას პიუ თამაშობდა უელსურ და ინგლისურ კლუბებში. იგი იყო „კარდიფ ჰარლექუინზის" მთავარი მწვრთნელი და შემდგომ უელსის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი. 1998 წელს კი IRB-ის თავმჯდომარედ აირჩიეს.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში პიუს გული აწუხებდა და ამის გამო ჩამოშორდა სამსახურს.

**2003 წლის მსოფლიოს თასი. შესარჩევი ტურნირი**

# ლომები არწივებმა გაქრიჭეს

**აშშ 58:13 ესპანეთი**

27 აპრილი. ფლორიდა

მზიურ ფლორიდაში შტატებმა მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის სანუგეშო ეტაპის, იგივეა რეპეშაჟის საპასუხო მატჩი 58:13 მოუგო ესპანეთს და მსოფლიოს თასზე გაემგზავრება.

კაცმა რომ თქვას, მოულოდნელი და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. აშშ დღეს ესპანეთს ერთი თავით სჯობს და მსოფლიოს 20 საუკეთესო გუნდში მოხვედრას სწორედ ამერიკელი „არწივები" იმსახურებდნენ.

პირველ მატჩში, რომელიც ორი კვირის წინ მადრიდში გაიმართა, სტუმრებმა 62:13 მოიგეს და საპასუხო შეხვედრას აზრი დაუკარგეს.

ფლორიდაში „არწივებმა" ესპანელ „ლომებს" ფაფარი ღერა-ღერა დააწყვიტეს. მატჩის გმირი გახდა ამერიკელთა მე-7 ნომერი კონრად ჰოჯსონი, რომელმაც ორჯერ დაალელოვა სტუმრები და მათი მორკინალები აქეთ-იქით მიმოყარა.

წლეულს ავსტრალიაში შემოდგომაზე გასამართ მსოფლიოს თასზე ამერიკელები „ბ" ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მათ გარდა საფრანგეთი, შოტლანდია, იაპონია და ფიჯი ითამაშებენ.

**ბაჩო სვანიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგეჩაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ღევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge